

F 171
1978

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



ბრძანებულება და ინსტრუქციები
კ რ ე ბ უ ლ ი

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 6

ივნისი — ИЮНЬ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს

1978 წლის 1 თებერვლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 14

პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ტიპობრივი დებულების მოქმედებაში მოყვანის შესახებ

ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ვბრძანებ:

1. მოქმედებაში იქნას მოყვანილი სსრკ ჯანმრთელობის და სსრკ ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებული პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის ტიპობრივი დებულება.

2. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებმა:

ა) დაიყვანონ პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ტიპობრივი დებულება სახალხო განათლების ორგანოებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობამდე;

ბ) დააწესონ კონტროლი პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მუშაობაში მოცემული დებულების მოქმედებაში მოყვანაზე.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

მ. ა. პროკოვნივი

ტ. შარქის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო სკოლებზე
დასრულებულია



პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების ტიპობრივი დებულება

I. საერთო დებულებები

1.1. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღდგენით დაწესებულებებს.

1.2. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები მუშაობაში ხელმძღვანელობენ სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებითა და მოცემული დებულებით.

1.3. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების გახსნისა და დახურვის წესებს ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. სკოლა-ინტერნატები ექვემდებარებიან განათლების (სახალხო განათლების), სამინისტროებს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში სკოლა-ინტერნატები შეიძლება იყვნენ ქალაქის ან რაიონის სახალხო განათლების განყოფილებების დაქვემდებარებაში.

1.4. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები იქმნებიან:

ცხრაწლიანი მოსამზადებელი კლასით, რომელიც იძლევა რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განათლებას, თერთმეტწლიანი მოსამზადებელი კლასით, რომელიც იძლევა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განათლებას.

ამ სკოლების კურსდამთავრებულები დებულებენ რვაწლიანი განათლების მოწმობებს ან საშუალო განათლების ატესტატებს.



1. 5. ბავშვები, რომლებსაც სამოძრაო სისტემის დარღვევის გარდა აღენიშნებათ ტვინის ორგანული დაზიანება, რომელიც გამოიხატება ოლიგოფრენიის მოვლენებით, დებილობის ხარისხში, ირიცხებიან სპეციალურ დამხმარე კლასებში, რომლებიც სათანადო კონტიგენტის არსებობის დროს იქმნებიან მოცემულ სკოლა-ინტერნატებში.

დამხმარე კლასებში გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ჩარიცხვა ხდება მედიკო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის საფუძველზე. მხოლოდ მას შემდეგ, თუ წლის განმავლობაში სწავლებისა და აღზრდის პროცესში დადგინდა, რომ ბავშვის ხანგრძლივი ჩამორჩენა გამოწვეულია ოლიგოფრენიით.

ეს კლასები მუშაობენ დამხმარე სკოლის პროგრამებით; დამხმარე კლასებში სწავლების ვადა რვა წელია.

II. სასწავლო-აღზრდელობითი პროცესისა და სამკურნალო ღონისძიებათა ორგანიზაცია

2.1. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სწავლება, აღზრდა და მკურნალობა წარმოებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის, ფსიქიკურ და სამოძრაო შესაძლებლობათა გათვალისწინებით, სამედიცინო რეკომენდაციათა მკაცრ შესაბამისობაში.

2.2. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალურ სკოლებში სწავლება ხორციელდება სსრკ განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების მიერ დამტკიცებული ტიპობრივი სასწავლო გეგმების მიხედვით, პროგრამებით, რომლებიც ითვალისწინებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის განათლების კურსის სრულ მოცულობას.

2.3. მოსამზადებელ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 30 წუთია, I კლასში — 35—40 წუთი, II და შემდეგ კლასებში — 45 წუთი. თითოეულ გაკვეთილზე 20 წუთის მეცადინეობის შემდეგ ტარდება 5-წუთიანი ფიზკულტპაუზა, სამკურნალო-საკორიგირო ვარჯიშების ჩართვით.



2.4. საშინაო დავალება მოსწავლეებს ეძლევათ მისი უმეტესობის ვადის გათვალისწინებით.

მოსამზადებელი კლასი — საშინაო დავალება არ ეძლევათ:

- I კლასი — 30—40 წუთი
- II-III კლასები — 1 საათამდე
- IV-V კლასები — 1,5 საათი
- VI-VII კლასები — 2 საათი
- VIII-IX კლასები — 2,5 საათი
- X-XI კლასები — 3,5 საათი.

2.5. ინდივიდუალური მეცადინეობა არსებული დეფექტების საკორექციოდ წარმოებს სასწავლო გეგმის შესაბამისად წინამორბედ განვითარებაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და ბავშვთა საგნობრივ-პრაქტიკული მოქმედების მიზნით და მთლიანად ექვემდებარება ერთ მიზანს — შეუქმნას მოსწავლეებს საპროგრამო მასალის ათვისების ბაზისი.

ჯგუფობრივი და ინდივიდუალური მეცადინეობები სამკურნალო ფიზკულტურასა და მასწავლებელ-ლოგოპედთან ტარდება ცხრილის მიხედვით როგორც დღის პირველ, ისე მეორე ნახევარში.

2.6. სამკურნალო კურსით გათვალისწინებული პროცედურები თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალურად იგეგმება, მაგრამ აუცილებლად სასწავლო ცხრილთან შეთანხმებით.

მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დღის წესრიგი, შრომისა და დასვენების მონაცვლეობა იგეგმება აღსაზრდელების სკოლა-ინტერნატებში სადღეღამისო ყოფნის გათვალისწინებით.

2.7. კლასსა და სააღმზრდელო ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა 16 მოსწავლით განისაზღვრება.

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა კონტიგენტის არსებობის დროს მათთვის ცალკე კლასები და ჯგუფები იქმნება 12 კაცის რაოდენობით.

მოცემული სკოლა-ინტერნატების შემადგენლობაში გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებისათვის იქმნება დამხმარე კლასები. მოსწავლეთა რაოდენობა აღნიშნული სკოლა-ინტერნატის დამხმარე კლასებში განისაზღვრება 5—7 მოსწავლით, ხოლო სააღმზრდელო ჯგუფები — 10—12.

2.8. შრომითი სწავლება ამ ტიპის სკოლა-ინტერნატში საცდით
თო ამოცანებთან ერთად ითვალისწინებს შრომით თერაპიას, რო-
მელიც სამოძრაო აპარატის აღდგენის ან კომპენსაციისაკენ უნდა
იყოს მიმართული.

2.9. IV-XI კლასებში შრომაში მეცადინეობისათვის კლასი ორ
ჯგუფად იყოფა. ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს ექიმთა თანდასწ-
რებით (ორთოპედი და ფსიქონევროლოგი), მოსწავლეთა სამოძრაო
და შემეცნებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2.10. შრომითი სწავლებისათვის სასწავლო სახელოსნოები ეწ-
ყობა და აღიჭურვება საყრდენ-სამოძრაო ფუნქციების სხვადასხვა
დარღვევების მქონე ბავშვებთან მეცადინეობის ჩატარების შესაძ-
ლებლობის გათვალისწინებით იმ ასიგნობათა ფარგლებში, რაც
სკოლა-ინტერნატს ამ მიზნებისათვის ეყოფა. შრომაში სამუშაო
აღდგის ორგანიზაცია, მოწყობილობების მომარჯვება და მუშაო-
ბის რეჟიმი დგება ექიმების (ორთოპედისა და ფსიქონევროლოგის)
უშუალო მონაწილეობითა და მეთვალყურეობით.

2.11. მოსწავლეთა ცოდნა ფასდება დადგენილი წესის მიხედ-
ვით სამოძრაო აპარატის დარღვევების შედეგად მიღებული მეტ-
ყველების დარღვევისა და წერის შეფერხების თავისებურებათა გა-
თვალისწინებით.

2.12. ცხრაწლიანი და თერთმეტწლიანი სკოლის დამთავრების
შემდეგ პედაგოგიური საბჭო კურსდამთავრებულებს აძლევს შესა-
ბამის რეკომენდაციებს შრომითი მოწყობისათვის.

პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური
დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატე-
ბის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობა, რომლებიც სკოლის
დამთავრებისას ინვალიდები აღმოჩნდებიან (II-I ჯგუფი), ევალე-
ბათ სოცუზრუნველყოფის შესაბამის განყოფილებებს.

III. მოსწავლეები

3. 1. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალუ-
რი დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატის
დაკომპლექტება ხდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების
განათლების სამინისტროების მიერ, მედიკოპედაგოგიური კომისიის

დასკვნის საფუძველზე, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსაგან დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით. ამ კომისიების საქმიანობა განისაზღვრება „რესპუბლიკური და საოლქო მედიკო-პედაგოგიური კომისიების ტიპობრივი დებულებით“.

3.2. ჯანმრთელობის აღდგენის შემთხვევაში, მედიკო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის საფუძველზე, მოსწავლეები გადაყვანილ უნდა იქნან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ან ჩვეულებრივი ტიპის სკოლა-ინტერნატიში.

3.3. ამ ტიპის სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა მიღება ხდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ასაკობრივ ნორმებზე 1-2 წლის ვადამეტებით.

3.4. სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტება ხდება სათანადო სახალხო განათლების ორგანოების მიერ 20 აგვისტომდე.

3.5. ბავშვები, რომლებიც ინტერნატი არ დადგებზე, გამოსასვლელ დღეებსა და დღესასწაულებზე რჩებიან, ერთიანდებიან წლიური რჩენის ჩვეულებში.

3.6. ზაფხულის პერიოდში სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფს აღსაზრდელების დასვენებას პროფკავშირების პიონერულ ბანაკებში, აგრეთვე სკოლის მიერ მოწყობილ გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

3.7. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, რომლებსაც ყავთ მშობლები, სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ ეძლევათ სწავლებისათვის მათ ხმრებაში მყოფი ზაფხულის ტანსაცმლის კომპლექტი და ფეხსაცმელები, ხოლო მშობლების სურვილის შემთხვევაში საზამთრო ტანსაცმლის კომპლექტიც, რომელთა ხმარების ვადა გასულია.

სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლა-ინტერნატიდან გასულ ბავშვებს უსასყიდლოდ ეძლევათ ტარების ვადაგასული სეზონური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპლექტი.

3.8. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, რომლებსაც არ ყავთ მშობლები, სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ უმალღეს სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა ან წარმოებაში გაგზავნის დროს ეძლევათ ზამთრისა და ზაფხულის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ლოგინის თეთრეული, პირველი საჭიროებისა-

თვის ერთდროული ფულადი დახმარება დაწესებული ნორმების ხედვით.

3.9. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, რომელთა მშობლებიც მატერიალურ ხელმოკლეობას (მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, ინვალიდები და ა. შ.) განიცდიან, სკოლის დამთავრების შემდეგ სახალხო განათლების ორგანოების ნებართვით, ეძლევათ მათ მიერ ნახმარი ვადაგასული ტანსაცმელი.

3.10. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, რომელთაც მშობლები არა ყავთ და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მათ არ გზავნიან სწავლის გასაგრძელებლად, საწარმოო სწავლების პერიოდში და სპეციალობის მიღებამდე ნება ეძლევათ დარჩნენ სკოლა-ინტერნატის კმაყოფაზე 6 თვის განმავლობაში, ხოლო აღსაზრდელებს, რომელთაც აქვთ ფიზიკური ნაკლი ან ქრონიკული დაავადება — 1 წლამდე.

3.11. ყოფილი აღსაზრდელები, რომელთაც არა ყავთ მშობლები და არდადეგების პერიოდში უმალღესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლიდან ჩამოდიან, სკოლა-ინტერნატში შეიძლება ჩაირიცხონ სკოლა-ინტერნატის კვებაზე ორი კვირის ვადით.

IV. მასწავლებლები და აღმზრდელები

4.1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებით გავთვალისწინებული მოვალეობისა და უფლებების გარდა, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების მასწავლებლები და აღმზრდელები უნდა ატარებდნენ მუშაობას საყრდენ-სამოძრაო აპარატის ფუნქციის აღდგენის, ფსიქიკური განვითარების ნაკლთა კორექციის, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისადმი აღსაზრდელთა მომზადებისათვის.

ამასთან დაკავშირებით:

— სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მკაცრად უნდა განსაზღვრავდნენ დავალების მოცულობას თითოეული მოსწავლის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

— ატარებდნენ მუშაობას განვითარებაში ნაკლის კორექციის



მიზნით (დარღვევები სივრცობრივ ორიენტაციაში, მეტყველების აზროვნების განვითარებასა და სხვა);

— ასწავლიდნენ და მკაცრ კონტროლს უწყევდნენ ორთოპედიული რეჟიმის შესრულებას;

— თვალყურს ადევნებდნენ მოსწავლეების აღნაგობას, სიარულს, თითოეულ ბავშვს დაავადების ხასიათის მიხედვით უნიტარებდნენ სწორ დინამიურ ჩვენებს;

— კონტროლს უწყევდნენ მოსწავლეების მიერ ეჭიმთა დანიშნულების შესრულებას (სამკურნალო ტანვარჯიშის, მასაჟის, ფიზიოთერაპიის, ლოგოპედის სპროცედურო კაბინეტებში მკურნალობის ჩატარებას, წამლების დროულად მიღებას და სხვა);

— ითვალისწინებდნენ კლასთან და თითოეულ მოსწავლესთან მუშაობაში მათ ფსიქიკურ განვითარებას, აგრეთვე ინდივიდუალურ თავისებურებებს საკუთარი ნაკლისადმი.

4.2. მასწავლებელი-ლოგოპედები ატარებენ ინდივიდუალურ-ჯგუფურ მუშაობას მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი დეფექტების გასწორებისათვის, ამავე მიმართულებით ხელმძღვანელობენ მასწავლებლისა და აღმზრდელების მუშაობას. ერთი მასწავლებელ-ლოგოპედი მუშაობს 25—30 მეტყველებადარღვეულ ბავშვთან.

V. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა

5.1. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებისა და სხვა პასუხისმგებელი მუშაკების უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებით, მოცემული დებულებითა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესით.

5.2. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებთან ერთად, ორგანიზაციას უწყევს და მიმართულებას აძლევს პედაგოგიურ კოლექტივს და სამედიცინო პერსონალს სასწავლო-აღმზრდელობით, სამკურნა-

ლოპროფილაქტიკურ და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების საქმეში ერთიანობის მისაღწევად.

— პასუხისმგებელია სწავლებისა და აღზრდის სპეციფიკის სწორი ორგანიზაციისადმი, ასევე აღდგენითი მკურნალობისადმი, რომელიც მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ნაკლთა მაქსიმალური კორექციისაკენ, ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საწარმოო შრომისათვის მოსამზადებლად.

პასუხისმგებელია აუცილებელი სანიტარული პირობების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ჯანმრთელობას, მათი დასვენებისა და კვების სწორ ორგანიზაციას.

5.3. დირექტორის მოადგილე სასწავლო (სასწავლო-აღმზრდელობით) დარგში, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით გათვლისწინებული მოვალეობის გარდა ორგანიზაციას უწევს სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ კოლექტივს სწავლებისა და აღზრდის სწორად წარმართვის საქმეში, აღსაზრდელების შემეცნებითი და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით; წარმართავს მეთოდურ საქმიანობას სასწავლო საგნების, სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის მიზნით, აგრეთვე სამკურნალო-აღდგენითი ღონისძიებებისა და საყრდენ-სამოძრაო სისტემის დარღვევების მქონე ბავშვთა განვითარების სპეციფიურობის საკითხებზე.

ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და სამკურნალო-აღდგენით მუშაობას მათ შორის ერთიანობის დაცვის მიზნით, ზრუნავს სწავლებისა და აღზრდის პროცესში ორთოპედიულ და დაცვითი რეჟიმის მოთხოვნათა შესასრულებლად.

5.4. სკოლა-ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში, რომელიც ინტერნატში ორგანიზაციას უწევს აღმზრდელობით მუშაობას და პასუხს აგებს მის კორექციულ მიმართულებაზე:

— ორგანიზაციას უწევს აღმზრდელების მეთოდურ მუშაობას.

— უზრუნველყოფს სარეჟიმო მომენტების შესრულებას, განსაკუთრებით კი ორთოპედიული რეჟიმის დაცვას.

5.6. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში პასუხს აგებს სპეციალური სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობაზე, სასწავლო-აღმზრდელი პროცესისა და სამკურნალო-აღდგენითი სამუშაოების მატერიალურ უზრუნველყოფაზე, სკოლა-ინტერნატის ინვენტარისა და ქონების დაცვაზე, შენობისა და სათავსოების ნორმალურ ექსპლოატაციასა და მათ სათანადო სანიტარულ მდგომარეობაზე.

VI. სამკურნალო-აღდგენითი მუშაობა

6.1. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს აქვს მდგომარეობის შტატი, რომელიც აუცილებელია სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და აღდგენითი სამუშაოებისათვის.

6.2. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და აღდგენითი მუშაობა ხორციელდება ექიმ-სპეციალისტების (ფსიქონევროლოგი, ორთოპედი, პედიატრი, სტომატოლოგი, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის ექიმი, ფიზიოთერაპევტი), საშუალო სამედიცინო პერსონალის (მედიკები), სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის ინსტრუქტორების მიერ და სხვა.

6.3. სკოლა-ინტერნატში მთელი სამკურნალო მუშაობა მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთა ფუნქციონალური შესაძლებლობების მაქსიმალური აღდგენისაკენ, მათი შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად. ბავშვების კომპლექსური აღდგენითი მკურნალობა მოიცავს: ორთოპედონევროლოგიურ ღონისძიებებს, სამკურნალო ფიზკულტურას, მასაჟს, ფიზიოთერაპიულ-კლიმატოთერაპიის, მედიკამენტურ მკურნალობას, საპროთეზო-ორთოპედიურ დახმარებას და სხვა.

6.4. ექიმი-სპეციალისტები: ფსიქონევროლოგი, ორთოპედი, პედიატრი, სტომატოლოგი, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის ექიმი ბავშვთა დაავადების შესაბამისად ახორციელებენ მკურნალობას და დისპანსერულ მეთვალყურეობას.

სხვა სპეციალობის ექიმთა სამკურნალო-საკონსულტაციო დახმარება ზოგიერთი ჩვენებების არსებობის დროს ხორციელდება იმ პოლიკლინიკის მიერ, რომელსაც მოქმედების არეში მდებარეობს სკოლა-ინტერნატი. თავიანთ მუშაობაში ექიმები ხელმძღვანელობენ ჯანმრთელობისა და განათლების ორგანოების მიერ გამოცემული ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მეთოდური რეკომენდაციებითა და სხვა დოკუმენტებით.

6.5. ექიმები სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს წევრები არიან და უწყვეტ სათანადო მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას პედაგოგებს მოსწავლეებთან აღდგენითი მუშაობის ჩატარებაში როგორც სამკურნალო, ასევე არასასწავლო დროს.

6.6 აღნიშნულ დაწესებულებაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებაზე კონტროლს ახორციელებენ ადგილობრივი ჯანმრთელობის ორგანოები.

სკოლა-ინტერნატი მეთოდური ხელმძღვანელობისა და საკონსულტაციო-სამკურნალო დახმარების მიღებისათვის მიემარგება შესაბამის ფსიქონევროლოგიურ და ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ დაწესებულებებს.

6.7. პროთეზირება, მოსწავლეთა უზრუნველყოფა ორთოპედიული ნაწარმით ხორციელდება სოცუზრუნველყოფის საოლქო (საქალაქო) განყოფილებების მიერ. საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის შეკვეთა, მოზომვა, მორგება, შეკეთება და გაცემა, ასევე დროებითი პროთეზების დამზადება და სხვა, წარმოებს სკოლა-ინტერნატის საპროთეზო კაბინეტში სოცუზრუნველყოფის სამინისტროს საპროთეზო საწარმოს მუშაკების მიერ. საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის მიმდინარე შეკეთება ხორციელდება სკოლის საპროთეზო კაბინეტის ოსტატის მიერ.

VII. სასწავლო-მატერიალური ბაზა, ფინანსირება და ანგარიშგება

7.1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით გათვალისწინებული სკოლისა და სკოლა-ინტერნატის შენობებს გარდა, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური და მბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატს აუ-



ცილებელია ქონდეს მატერიალური ბაზა სამკურნალო სამუშაოების ორგანიზაციისათვის.

სკოლა-ინტერნატიში უნდა იყოს კაბინეტები ექიმებისათვის (პედიატრი, ფსიქონევროლოგი, ორთოპედი, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის ექიმი, სტომატოლოგი), იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომელიც გამოყოფილია ინვენტარისა და მოწყობილობის შესაქენად.

• კაბინეტები:

— სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი, რომელიც ვათვალისწინებულია ჭვრფური და ინივიდუალური მეცადინეობების ჩატარებისათვის (ვარაუდით, რომ ერთი კაბინეტი განკუთვნილ იქნას ერთი მეთოდისთვის, ორ ცვლაში სამუშაოდ);

— აკრებისა და საპროცედურო კაბინეტი;

— მასაჟის კაბინეტი;

— ფიზიოთერაპიული კაბინეტი (ელექტროთერაპია, სხივური მკურნალობა, თერმოთერაპია, წყლით მკურნალობა, პარაფინითა და ტალახით მკურნალობა);

— საპროთეზო კაბინეტი;

— ლოგოპედური კაბინეტი (ვარაუდით, რომ ერთი კაბინეტი განკუთვნილი იქნას ერთი ლოგოპედისათვის, ორ ცვლაში სამუშაოდ);

— სამკურნალო საცურაო აუზი.

7.2. სკოლა-ინტერნატის დაფინანსება წარმოებს რესპუბლიკური, სათლქო, სარაიონო (საქალაქო) ბიუჯეტით.

მოსწავლეთა მიერ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, დამხმარე მეურნეობებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი გამოყენებული უნდა იქნას სკოლა-ინტერნატების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიულ პირთა უფლებებით, დაქვემდებარების მიხედვით აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და საკუთარი დასახელების, ასევე შტამპი მისი ადგილსამყოფელის მიითებთ. • |

მომზადებულია სკოლების მთავარი სამმართველოს მიერ.

სამმართველოს უფროსი

შემსრულებელი: **პ. ფ. მაჩინიძე**

შეთანხმებულია:

მინისტრის მოადგილე

საგეგმო-საფინანსო

განყოფილება

იურიდიული ბიურო

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო

კულტურისა და ჯანმრთელობის

დაფინანსების სამმართველო

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტრო

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური

დახმარების მთავარი სამმართველოს უფროსი

გ ა ნ ა თ ღ ე ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ზ რ ო ს

1978 წლის 17 აპრილის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 298

ქ. ქუთაისის მე-3 და ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის საღამოს სკოლების მოსწავლეთა მიმართვის „საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ყველა მოსწავლე — სწავლისა და შრომის მოწინავე“ შესაბამისად ქ. ტყიბულის ზონისა და ახმეტის რაიონის სკოლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ქ. ტყიბულის მე-3 და ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის საღამოს საშუალო სკოლების მოსწავლეთა მოწოდება რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეებისადმი, 1975 წლის 16 ოქტომბერს მოიწონა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საწარმოების, ორგანიზაციების, მეურნეობების წარმომადგენელთა მონაწილეობით განხილულ იქნა რესპუბლიკის ყველა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კრებებზე. ამ ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა და გარკვეულად შეუწყო ხელი მომუშავე ახალგაზრდების გააქტიურებას სწავლასა და შრომაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოწინავეთა რიცხვი როგორც სწავლაში ისე შრომაში.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შედეგად ადგილებზე შეიქმნა მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისადმი საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო. ამჟამად საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელთა უმრავლესობა უფრო მეტ მზრუნველობას იჩენს მოზრდილთა სკოლებისადმი.

ქ. ტყიბულის ზონისა და ახმეტის რაიონის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მიმდინარე სასწავლო წელს 300-300 მოსწავლით მეტი სწავლობს, ვიდრე წინა წელს: საგრძნობლად შემცირდა მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლა უკვე მეორე წელია განთესვის გა-

რეშე მუშაობს; გაიზარდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც წარმოებიდან მოუწყვეტილად მიიღეს რვაწლიანი და საშუალო განათლება. გასულ წელს ქ. ტყიბულის ზონის საღამოს სკოლების რვა კლასი დაამთავრა 36-მა, საშუალო განათლების ატესტატი კი მიიღო 127-მა; ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის რვა კლასი დაამთავრა 110-მა, ხოლო საშუალო სკოლა—168-მ. რაიონის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთაგან ყოველი მე-4 აღნიშნულმა სკოლამ გამოიშვა. მიმდინარე სასწავლო წელს ამ სკოლის XI კლასებში 236 ახალგაზრდა სწავლობს.

როგორც ტყიბულის ისე ახმეტის სკოლების მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ისინი წარმატებით სძლევენ შრომისა და სწავლის შეთავსებით გამოწვეულ სიძნელეებს; ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებამ სამუშაო უბნებზე გაზარდა მათი შრომის ნაყოფიერება, ხოლო პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ დადებითი გავლენა მოახდინა სწავლის ხარისხზე.

სწავლისა და შრომის მოწინავენი არიან ქ. ტყიბულის საღამოს მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეები თ. ბოჭორიშვილი, ე. ქურციკიძე, გ. და ზ. ჩაფიძეები, გ. ხვედელიძე, ვ. მაცაბერიძე. ისინი ლენინის სახელობის მაღაროში ყოველდღიურ გეგმას 125-130%-ით ასრულებენ. ვლ. მაცაბერიძე არჩეულია ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, შეტანილია რაიონის მოწინავე ადამიანთა საპატიო დაფაზე და დაჯილდოებულია „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნით, ასეთებივეა სტალინის სახელობის შახტის მნგრეველები, საღამოს 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები, საქალაქო საბჭოს დეპუტატები შ. ბეშქენაძე, ო. გუნიავა, შრომის დიდების ორდენოსანი ვ. გოცირიძე და სხვები.

ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის 957 მოსწავლიდან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობს 625, მექანიზატორი და მძღოლია 195, მრეწველობის მუშაა 72, მეცხვარე 18, მეძროხე და მეღორე 10, მევენახე ხ. ხაჩიძე ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურ დავალებას 110--115%-ით ასრულებს, არჩეულია რაიონული საბჭოს დეპუტატად; ამავე საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირი — ი. ჭოლოკაძე,

225X F

ვ. შარქისის სახ. საჯ. სკოლა
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა



მექანისატორი — ვ. ქოჩიშვილი ყოველწლიურად 280—290 %ით ასრულებენ გეგმას.

გასულ წელს ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან მუშაობის საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი ბ. რაინაული, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მ. მურთაზაშვილი, რომელიც დაჯილდოებულია მსუბუქი ავტომანქანით და სხვები.

ქ. ტყიბულის ზონის საღამოს სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებას ხელი შეუწყო, მასობრივი სკოლების ბაზაზე, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა.

ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის 10 სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში უკვე დაინერგა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შუალედ პერიოდებში სამუშაოდან მოწყვეტით მეცადინეობა-სწავლების სასესიო ფორმა, რაც დიდად უწყობს ხელს შრომისა და სწავლის ურთიერთ შეთავსებით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევას. შირაქის საზამთრო საძოვრებზე გახსნილ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში 75 ახალგაზრდა მეცხვარე სწავლობს ამ მეთოდით.

წარმატებებს დასახელებული სკოლის მუშაობაში იხიცი განაპირობებს, რომ ამ სკოლაში შექმნილია პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სკოლა საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად ზრუნავს მოსწავლეთა მორალური და მატერიალური სტიმულირებისათვის. მათ მაჩვენებლებს სწავლაში ითვალისწინებენ სოციალისტური შეჯიბრებების შედეგების შეჯამებისას, სამუშაოზე დაწინაურების, პრემირების, დასაჩუქრების დროს და ა. შ. სკოლა აწყობს მოწინავე ადამიანებთან, ამ სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს, ექსკურსიებს და სხვა ღონისძიებებს.

დათვალიერებაში „ყველა ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“ 1977 წლის შედეგების მიხედვით ახმეტის რაიონს გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცკ-ისა და საქართველოს განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ტყიბულის და ახმეტის სა-



უამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს რეგულარულ ნაკლოვანებებს. ბოლო ორ წელს ქ. ტყიბულის ზონის სალამოს სკოლების რვა კლასი ვერ დაამთავრა 23-მა, საშუალო სკოლა კი-58 ახალგაზრდამ, ამავე პერიოდში ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის კურსი ვერ დაამთავრა 47 მოსწავლემ. ქ. ტყიბულის ზონის სკოლებიდან 1976—1977 სასწავლო წელს გავიდა 122 ახალგაზრდა, წლის ბოლოს იმავე კლასში დარჩა 180.

ზშირია მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში ქ. ტყიბულის ზონის სალამოს სკოლებში გაცდენილია 23786 გაკვეთილი, მათ შორის არასაპატიოა — 14496. აწლის 30 აპრილს ორპირის დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლაში (დირექტორი ვლ. სულიაშვილი) გაკვეთილებს მოსწავლეთა 50% ესწრებოდა, ხოლო ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. დობორჯგინიძე) — 30%.

მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისათვის საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ ორპირის ჩაის ფაბრიკის, ტრანსფორმატორების ქარხნისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები; არ ახდენენ მოწინავე მოსწავლეთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას, მოსწავლეები ვერ სარგებლობენ მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით. ეს ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ განათლების განყოფილება, სალამოს სკოლები სათანადოდ ვერ იყენებენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერასა და დახმარებას. მტკიცე კონტაქტი არა აქვთ დამყარებული საწარმოებთან, მეურნეობებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შპრძანებ:

1. მოწონებულ იქნას ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. გ. ნანიშვილი) მიერ ქ. ქუთაისის მე-3 და ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის სალამოს სკოლების მოსწავლეთა მოწოდების პასუხად გაწეული მუშაობა.
2. დაევალოს ქ. ტყიბულის და ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ზ. ლომთაძე, დ. ნაროზაული): — სისტემატური კონტროლი გაუწიოს ქ. ქუთაისის მე-3 და ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის სალამოს საშუალო სკოლების

მოსწავლეთა მოწოდების საპასუხოდ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, ამ საქმეში არ დაუშვან კამპანიურობა;



— გააძლიერონ კონტროლი და დახმარება მასწავლებლები-სადმი.

აღმოფხვრან სასწავლო-აღმზრდელით მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის და სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევები. გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი, მიაღწიონ იმას, რომ რვა კლასსა და საშუალო სკოლას ამთავრებდეს მე-8, მე-11 კლასების ყველა მოსწავლე;

— მოზრდილთა სკოლების მუშაობაში არსებული სიძნელეების დაძლევაში უფრო გონივრულად გამოიყენონ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება. ფართოდ ჩააბან ამ საქმეში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები. იზრუნონ წარმოებაში და ყოფაცხოვრებაში მოსწავლეთათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ყველგან მიაღწიონ მოსწავლეებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების აუცილებელ გავრცელებას;

— სკოლებისა და წარმოებების ერთობლივი მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ მათთვის სისტემატურად იყოს ცნობილი მოსწავლეთა წარმატებისა და წარუმატებლობის ყველა შემთხვევა სწავლასა და შრომაში;

— უფრო ფართო მასშტაბით მოახდინონ სწავლასა და შრომაში მოწინავე ახალგაზრდების წახალისება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით, თანრიგის მიმატებით, სა-მუშაოზე დაწინაურებით, მოწინავეთა დაფაზე შეტანით, მადლობის გამოცხადებით და სხვ. მეტი საჯარისობა მიანიჭონ ამ ღონისძიებებს.

— სათანადოდ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის, აღრიცხონ 16—29 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდები, მოამზადონ და განაწყონ ისინი სწავლისათვის, სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის დაკომპლექტება ძირითადად მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასს განათლების მინისტრებმა ერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების პარალელურად შეისწავლონ ქ. ქუთაისის მე-3 და ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის სალამოს სკოლების მოსწავლეთა მიმართვის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა, შეუწელებელი ყურადღება მიაქციონ მომუშავე ახალგაზრდების აქტიურობის ამაღლებას სწავლასა და შრომაში, დღენიადაგ იზრუნონ მათთვის საამისო პირობების შექმნისა და გაუმჯობესებისათვის.

ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი ანალოგიურ ნაკლოვანებათა სასალიკვიდაციოდ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი : საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი

მ. ჰინჯლაძე

1978 წლის 27 აპრილის

გ ა ლ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 4

XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების, მესხეთე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისა“ და XXIV რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების შესახებ

XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია მეტი მომთხოვნელობის პირობებში, ორგანიზებულად და მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში, ქ. თბილისსა, ქ. ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში და ქალაქებში „პედაგოგიურ კითხვებზე“ წაკითხულ იქნა 10.000-მდე მოხსენება, რომელთაგან XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის შეირჩა 2500, ხოლო კონფერენციის დღის წესრიგში შევიდა 793 მოხსენება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კონფერენციაში სოფლის სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობა. მოხსენებათა დიდი ნაწილი წარმოდგენილია სოფლის სკოლებიდან.

XXIII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის პრობლემამ „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების პროცესში“ საშუალება მოგვცა გავგეზავრებინა და გავგეზოვადებინა პრაქტიკოს მუშაკთა მოწინავე გამოცდილება, რომელიც სკოლამ და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა დააგროვეს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ეს ხელმისაწვდომს გახდის მას პრაქტიკოს მუშაკთა ჯართო მასებისათვის, საფუძვლად დაედება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამით გადაიდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც სკკპ 25-ე ყრილობამ დააყენა მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჭარის ასსრ, ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის

რის, ზუგდიდის, გორის, აგრეთვე ახმეტის, გურჯაანის, ღუშეთის, აბაშის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ხაშურის, სიონალის, ცაგერის, წითელწყაროს, ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩოხატაურის რაიონების, ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მასწავლებლებმა და სკოლის სხვა მუშაეებმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური, უცხოური ენების, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების აპარატის, მისი რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეცნიერ თანამშრომლებმა, პროფესორ მასწავლებლებმა, მეთოდისტებმა და სხვა მუშაეებმა.

XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა, რომლის მეცნიერ თანამშრომლებმა საჭირო დახმარება გაუწიეს მასწავლებლებსა და განათლების დარგის სხვა მუშაეებს თემატიკის შერჩევასა და მოხსენებების მომზადებაში. ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მომზადებასა და მუშაობაში საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ და მისმა სექციებმა.

მიუხედავად ამისა, კონფერენციის მუშაობაში ადგილი ქონდა ხარვეზებსაც: ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია ბოგდანოვიკის, ბოლნისის, დმანისის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, წალკის, გულრიფშისა და ზნაურის რაიონებს.

კვლავ არადამაკმაყოფილებელი იყო. ქ. თბილისის სკოლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა მონაწილეობა სექციების მუშაობაში.

რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური „პედაგოგიური კითხვების“, მეხუთე საკავშირო „პედაგოგიური კითხვების“ და XXIV რესპუბლიკური სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენციის სათანადოდ მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად;

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,

სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოებრივი უნივერსიტეტის განყოფილებებთან და მასწავლებლებთან, დახელოვნების ინსტიტუტებთან ერთად აქედანვე გაშალონ მუშაობა ყოველწლიურად იანვრის „პედაგოგიური კითხვების“ მომზადებისა და სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით. აღნიშნული „პედაგოგიური კითხვების“, მეხუთე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისა“ და XXIV რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის განვითარებას, მათი გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებას.

2. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოხსენებათა შერჩევასა და სათანადოდ დამუშავებას.

3. გაზარდონ მომთხოვნელობა რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებსა და საკავშირო კითხვებზე გასაგზავნი მოხსენებებისადმი.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტმა:

ა) სისტემატური და ქმედითი დახმარება გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს „პედაგოგიური კითხვებისათვის“ მოხსენებების მალაღმარისხვნად მომზადებაში, რესპუბლიკურ საოლქო და რაიონულ კითხვებზე მიავლინოს თავისი წარმომადგენლები;

ბ) გაზარდოს მომთხოვნელობა მოხსენებებისადმი, მკვეთრად შეამციროს შერჩეული მოხსენებების რაოდენობა და უზრუნველყოს სექციებში მოხსენებათა საფუძვლიანი განხილვა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეხუთე საკავშირო „პედაგოგიური კითხვების“ მოხსენებათა შერჩევას, მათ სათანადოდ დამუშავებასა და საკავშირო კითხვების საორგანიზაციო კომიტეტში დროულად გაგზავნას.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ და მეთოდოლოგიური ჟურნალების რედაქციებმა გამოაქვეყნონ მოწონებული მოხსენებები და სისტემატურად გააშუქონ მეხუთე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისათვის“, აგრეთვე XXIV რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობა.

6. პოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, წალკის, გულრიფშის, ზნაურის განათლების განყოფილებათა გამგეებს: რ. მეღვინას, ვ. გობეჯიშვილს, გ. კურკუმულს, ი. ჩანქსელიანს, ნ. გუჯეჯიანს, პ. ოსკანიანს, ლ. სართანიას, ი. გაგლოევს კონფერენციის მზადებისა და ჩატარების საქმეში სუსტი მუშაობისათვის მიეთითოთ.

7. XXIII რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი და წაკითხული საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით — 78 კაცი (იხ. დანართი № 1), II ხარისხის დიპლომით 196 კაცი (იხ. დანართი № 2), ხოლო კონფერენციის დანარჩენ მონაწილეებს გამოეცხადოთ მადლობა 399 კაცს (იხ. დანართი №3).

8. რესპუბლიკური XXIII პედაგოგიური კონფერენციის მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გამოეცხადოთ მადლობა სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის, მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტისა და განათლების სამინისტროს მუშაკებს (იხ. დანართი № 4, სულ 38 კაცს).

9. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სხვა დაწესებულებებმა საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოებისაგან მიღებული ტურისტული საგზურების განაწილებისას პირველ რიგში გაითვალისწინონ კონფერენციის აქტიური მონაწილენი.

10. XXIV რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩატარდეს 1981 წლის მარტში.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი

ო. ჭინქლაძე

დაჯილდოვდნენ I სარისხის დიპლომით:

- აბხაზავა იოსებ ნიკოლოზის ძე (ქობულეთის რაიონი, ჩაქვის საშ. სკოლა);
- ალავერდაშვილი გიორგი ივანეს ძე (თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონის მეთოდკაბინეტი);
- ალხორბა ზინაიდა მამედის ასული (ბათუმის მე-11 საშ. სკოლა);
- ახალაძე ნანა აკაკის ასული (აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის კაბინეტი);
- ბარაბაძე ლეილა აპოლონის ასული (თბილისის კალინინის სახ. რაიონის მეთოდკაბინეტი);
- ბაჩიაშვილი ელენე ვლადიმერის ასული (თბილისის 142-ე საშ. სკოლა);
- ბეჟანიშვილი ანა არამის ასული (თბილისის 30-ე საშ. სკოლა);
- ბოცვაძე დიანა ვასილის ასული (რუსთავეის მე-14 საშ. სკოლა);
- გაბრიჩიძე რენო არისტოტელეს ძე (ტყიბულის 1-ლი საშ. სკოლა);
- გეგენავა ლამარა დომენტის ასული (ცხაკაიის მე-7 საშ. სკოლა);
- გიორგანაშვილი ვახტანგ მიხეილის ძე (მცხეთის რაიონის ძაღლის საშ. სკოლა);
- გიორგაძე ივანე იოსების ძე (თბილისის 88-ე საშ. სკოლა);
- იმერლიშვილი ვლადიმერ გიორგის ძე (მცხეთის საშ. სკოლა);
- დოლიძე ლეილა გალაქტიონის ასული (1-ლი ექსპერიმენტული საშ. სკოლა);
- დარბაზოვა ლილი არმენის ასული (თბილისის 50-ე საშ. სკოლა);
- იშნაიშვილი მაყვალა იოსების ასული (ბათუმის I-ლი სკოლა);
- კაციტაძე ლია გიორგის ასული (ქუთაისის 22-ე საშ. სკოლა);
- კახიძე აღექსანდრე ხაფაზის ძე (ხელვაჩაურის რაიონი, ყორალის-თავის რეაწლიანი სკოლა);
- კეკელიძე იზა პეტრეს ასული (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლე);
- კოსოვა ეკატერინე ანდრიას ასული (რუსთავეის საბავშვო სახლი);
- ლანჩავა თინა კალისტრატეს ასული (ქუთაისის 31-ე საშ. სკოლა);
- ლომაძე თინათინ სამუელის ასული (ქობულეთის რ-ნი, ჩაქვის ქართული სკოლა);

- ლონდარიძე უშანგი პავლეს ძე (თბილისის 65-ე საშ. სკოლა);
ლორთქიფანიძე ნაპოლეონ სილიბისტროს ძე (ვანის რ-ნი, სალხინოს საშ. სკოლა);
მაზიაშვილი ესმა ივანეს ასული (თბილისის 140-ე საშ. სკოლა);
მამიაშვილი მზია ვლადიმერის ასული (თბილისის 51-ე საშ. სკოლა);
მაჭარაშვილი ლიანა შალვას ასული (თბილისის 51-ე საშ. სკოლა);
მენაბდე ვარდენ ივანეს ძე (მახარაძის მე-5 საშ. სკოლა);
მინდილაია პეტრე გიორგის ძე (გეგეჭკორის რაიონი, მუხურჩის საშ. სკოლა);
მირიანაშვილი ნათელა დავითის ასული (წყალტუბოს განათლების განყოფილება);
მიქელაძე ირინა დავითის ასული (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე);
მიშველაძე ნათელა აქვსენტის ასული (გლდანის დამხმარე სკოლა-ინტერნატი);
მოწონელიძე რევაზ სიმონის ძე (გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი);
ნახუშნოვა ევგენია ასატუხის ასული (თბილისის რკინიგზის მე-5 საღამოს სკოლა);
ნემსაძე ბერტა ფაზიანეს ასული (თბილისის 121-ე საშ. სკოლა);
ნემსაძე ელენე გიორგის ასული (თბილისის რკინიგზის 1-ლი სკოლა);
ნემსიწვერიძე ქიონია ევგენის ასული (ამბროლაურის რაიონი, ჩორჯოს სკოლა);
ნიშნიაიძე შალვა პარმენის ძე (წყალტუბოს ზონის მუხიანის საბავზო საშ.სკოლა);
ოფინაშვილი გურამ ზაქარაის ძე (თბილისის 55-ე საშ. სკოლა);
ოკუჯავა სვეტა ივანეს ასული (ფოთის მე-5 საშ. სკოლა);
პოპიაშვილი ნათელა დიმიტრის ასული (წითელწყაროს სკოლა-ინტერნატი);
ჟორჯიკაშვილი ელენორა ვასილის ასული (ბათუმის 1-ლი საღამოს სკოლა);
რობაქიძე სერგო ბესარიონის ძე (თერჯოლის რაიონის მეთოდკაბინეტი);



- სანაკოვეი თორდვაი ვასილის ძე (ცხინვალის მე-6 რუსული საშ. სკოლა);
- სარიშვილი ივოლდა კალისტრატეს ასული (1-ლი ექსპერიმენტული საშ. სკოლა);
- სოფაძე გიორგი ანტონის ძე (მაიაკოვსკის საშ. სკოლა);
- სტაროსტინი რუდოლფ ალექსანდრეს ძე (თბილისის 119-ე საშ. სკოლა);
- სტომატოვი კირიაკი პანტელეიმონის ძე (მარნეულს რუსული საშ. სკოლა);
- სულამანიძე თინათინ გრიგოლის ასული (ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი);
- სურგულაძე ელენე გრიგოლის ასული (თბილისის 123-ე საშ. სკოლა);
- ფერაძე თინა ვარლამის ასული (თბილისის 1-ლი საშ. სკოლა);
- ფერაძე ეთერ დავითის ასული (თბილისის 23-ე საშ. სკოლა);
- ფურცელაძე ლია სოლომონის ასული (გარდაბნის რაიონი, დიდილილოს საშ. სკოლა);
- ჭავთარაძე თამარ სილიონის ასული (საჩხერის 1-ლი საშ. სკოლა);
- ქედელიძე ეთერი ემინახმედის ასული (ხულოს რაიონი, ქედლების საშ. სკოლა);
- ქვილითაია ვლადიმერ გრიგოლის ძე (პენსიონერი — მეთოდისტი);
- ქინქლაძე დარეჯან ემელიანეს ასული (ლანჩხუთის მე-2 საშ. სკოლა);
- ყარელაშვილი ლალი ვახტანგის ასული (ახმეტის რაიონი, ქისტაურის საშ. სკოლა);
- ყირმელაშვილი მერი ივანეს ასული (თბილისის 87-ე საშ. სკოლა);
- შამათავა დომენტი დავითის ძე (ოჩამჩირის 1-ლი საშ. სკოლა);
- შარმადინი ვალენტინა ესტატეს ასული (დუშეთის რაიონი, ქვეშეთის საშ. სკოლა);
- ჩაუშბა ნუნუ ჰაიდარის ასული (ბათუმის მე-6 სკოლა);
- ჩახვაძე ანზორ გრიგოლის ძე (თბილისის სუსტმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი);
- ჩიგოგიძე კლარა კლავდიუსის ასული (მახარაძის რაიონი, კვირიკეთის რვაწლიანი სკოლა);
- ჩიკოიძე თინა სერაფიონის ასული (თბილისის 130-ე საშ. სკოლა);

- ჩიქოვანი ნანული მიხეილის ასული (თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა);
- ჩხაიძე ზინა სიმონის ასული (დუშეთის რაიონი, ჭობორტის საშ. სკოლა);
- ცაკაშვილი მიხეილ ილიას ძე (თელავის 1-ლი საშ. სკოლა);
- ცირეკიძე ყუყუნა სამოელის ასული (ბათუმის 23-ე საშ. სკოლა);
- ცხადაძე ნათელა ივანეს ასული (ვანის რაიონი, სოფელ დიხაშხოს რვაწლიანი სკოლა);
- ჭკუასელი ნოდარ ევგენის ძე (თბილისის 154-ე საშ. სკოლა);
- ხანიაშვილი ნათელა რაუდენის ასული (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლე);
- ხოტელაშვილი ლუდმილა აღექსანდრეს ასული (თბილისის მე-18 საშ. სკოლა);
- ხუბულაშვილი ევგენია სიმონის ასული (თბილისის 52-ე საშ. სკოლა);
- ჯანაშვილი მიხეილ ევსევის ძე (თბილისის მე-11 საღამოს სკოლა);
- ჯაფარიძე უანა აღექსანდრეს ასული (თბილისის 49-ე საშ. სკოლა);
- ჯიბლაძე ნაირა ნიკოლოზის ასული (რკინიგზის 1-ლი საშ. სკოლა);
- ჭიჭია ზაირა გრიგოლის ასული (ქუთაისის საღამოს მე-3 სკოლა).

დაჯილდოვდნენ II ხარისხის დიპლომით:

- აბაკელია ნუგზარ პორფილეს ძე (თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშ. სკოლა);
- აბულაძე დევან შახზადის ძე (ბათუმის საოლქო დაუსწრებელი სკოლა);
- ადეიშვილი ვენერა ავიდოს ასული (ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა);
- ავალიანი სვეტლანა არჩილის ასული (თეთრიწყაროს რაიონი, მანგლისის საშ. სკოლა);
- ავდიშევა-მიქაბერიძე მარგალიტა არჩილის ასული (ხესტაფონის მე-2 საშ. სკოლა);
- ამაშუკელი შაქრო გიორგის ძე (ორჯონიკიძის რაიონი, ფარცხნალის საშ. სკოლა);
- ამირხანოვი გიორგი ტიგრანის ძე (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა);
- ამონაშვილი ნათელა აღექსანდრეს ასული (1-ლი ექსპ. საშ. სკოლა);
- ანდლუაძე თამარ ბესარიონის ასული (ბათუმის მე-2 საშ. სკოლა);
- არჩვაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე (თბილისის 26-ე საშ. სკოლა);
- ასათაშვილი ელენე ვახტანგის ასული (ახმეტის სკოლა-ინტერნატი);
- აფხაზავა ფიალა კონსტანტინეს ასული (ლანჩხუთის რაიონი, სუფსის საშ. სკოლა);
- აფხაზავა გიორგი კლიმენტის ძე (ლანჩხუთის რაიონი, ჯურყვეთის რვაწლიანი სკოლა);
- აქირთავა ვალერიან დურუხ ძე (გალის რაიონი, ჭუბურხინჯის ი. გოგებაშვილის სახ. 1-ლი საშ. სკოლა);
- ბაიხოძე მაგდა დიმიტრის ასული (ახმეტის რაიონი, ზემო ალვანის საშ. სკოლა);
- ბარამიძე შოთა ირაკლის ძე (თბილისის 39-ე საშ. სკოლა);
- ბასილაშვილი ეთერ ვასილის ასული (ფოთის I-ლი საშ. სკოლა);
- ბახლიშვილი ლამარა ტიგრანის ასული (გურჯაანის რაიონი, ველისციხის საშ. სკოლა);
- ბერიშვილი ელენე კონსტანტინეს ასული (თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი);

- ბერიშვილი რუსუდან მეთოდეს ასული (ჩოხატაურის რაიონი, ვერ-
კეთის საშ. სკოლა);
- ბერძენაძე ვენერა აკაკის ასული (ქობულეთის მე-8 საშ. სკოლა);
- ბოკუჩავა ციალა აბოლენის ასული (აბაშის 1-ლი საშ. სკოლა);
- ბურჯანაძე თამარ ვარლამის ასული (თბილისის 53-ე საშ. სკოლა);
- ბუჩუკური თამარ ნიკოლოზის ასული (დუშეთის რაიონი, ქვეშეთის
საშ. სკოლა);
- ბურძგლა იზოლდა დავითის ასული (თბილისის 23-ე საღამოს სკო-
ლა);
- გავაშელი ჟუჟუნა აღექის ასული (ყვარლის მე-2 საშ. სკოლა);
- გამრეკელი ელენე ნიკოლოზის ასული (თბილისის მე-15 საშ. სკო-
ლა);
- გარსიაშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (თბილისის მე-16 საშ.
სკოლა);
- გელაძე ლიანა იასიას ასული (თბილისის 1-ლი დამხმარე სკოლა-
ინტერნატი);
- გერსამია დევი გიორგის ძე (ხობის რაიონი, ხაშისქურის საშ. სკო-
ლა);
- გვათუა ლამარა დავითის ასული (ზუგდიდის 1-ლი საშ. სკოლა);
- გვარჯალაძე მაყვალა ვლადიმერის ასული (ლანჩხუთის 1-ლი საშ.
სკოლა);
- გვილავა მზია სამუელის ასული (თბილისის 1-ლი ექსპ. საშ. სკოლა);
- გვილავა ამირან ირაკლის ძე (ქუთაისის მე-7 სკოლა);
- გვილია ეკატერინე ბაგრატიის ასული (ზუგდიდის მე-3 საშ. სკოლა);
- გვენეტაძე რუსუდან შოთას ასული (ქუთაისის 33-ე საშ. სკოლა);
- გიგაური ზაქარია ივანეს ძე (თეთრიწყაროს ქართული საშ. სკოლა);
- გოგბერაშვილი მერი გიორგის ასული (ჭიათურის რაიონი, ქვაცი-
ხის უღენტის სახ. საშ. სკოლა);
- გოლოსკაჩენკო ნინა აღექის ასული (ბათუმის 27-ე საშ. სკოლა);
- გოცირიძე ელენე სევერიანეს ასული (ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკო-
ლა-ინტერნატი);
- გრეჩინი ივანე ილიას ძე (წითელწყაროს საღამოს სკოლა);
- გრიგორია ჭემალ ვარლამის ძე (აბაშის რაიონი, ძველი აბაშის
რვაწლიანი სკოლა);

- დავითაძე თეიმურაზ ვლადიმერის ძე (შუახევის რაიონი, სენფუტის რვაწლიანი სკოლა);
- დათუკიშვილი ესმა დავითის ასული (წითელწყაროს სკოლა-ინტერნატი);
- დარსაძე რუსუდან ივანეს ასული (ქუთაისის ყრუ ბავშვთა ინტერნატი);
- დარჩია დუშა გიორგის ასული (მხარაძის სკოლა-ინტერნატი);
- დარჩიაშვილი ვალოდია ვარლამის ძე (გურჯაანის 1-ლი საშ. სკოლა);
- დიაკონიძე აკაკი კალენიკეს ძე (ქუთაისის 31-ე საშ. სკოლა);
- დიასამიძე იოსებ დავითის ძე (გურჯაანის რაიონი, ვეჯინის საშ. სკოლა);
- დიხამინჯია ვარლამ ვასილის ძე (ცხაკაიას რაიონი, თეკლათის საშ. სკოლა);
- დოლიძე ნინო ერმალოს ასული (ჩოხატაურის საშ. სკოლა);
- დოლიძე გულნარა გერმანეს ასული (ბათუმის მე-6 საშ. სკოლა);
- დონდუა ელენე კონსტანტინეს ასული (აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი);
- დობტურიშვილი ნანა გიორგის ასული (გარდაბნის რაიონი, სართიქალის მე-2 საშ. სკოლა);
- ვარგაშვილი გიორგი ილიას ძე (ყვარლის რაიონი, გავაზის საშ. სკოლა);
- ვაშაკიძე მურთაზ დავითის ძე (თბილისის მე-4 საშ. სკოლა);
- ვეშაპიძე ჭულიეტა დავითის ასული (თბილისის რკინიგზის მე-2 სკოლა);
- ვორონკოვა ევდოკია არსენის ასული (რუსთავის მე-20 საშ. სკოლა);
- ზარნაძე ნანული შალვას ასული (თერჯოლის რაიონი, ზედა საზანოს საშ. სკოლა);
- ზედელაშვილი ლონდა ბიძინას ასული (თბილისის 55-ე საშ. სკოლა);
- ზვიადაძე გუგული ლავრენტის ასული (ქუთაისის 29-ე საშ. სკოლა);

- ზოხიძე შოთა ოსმანის ძე (აჭარის ასსრ, შუახევის რაიონი, ქიქინი
ძეების სკოლა);
- თათეიშვილი კონსტანტინე თომას ძე (ადიგენის რაიონი, არალის
საშ. სკოლა);
- თევზაძე ნინო მიტროფანეს ასული (სამტრედიის 1-ლი საშ. სკო-
ლა);
- თენეიშვილი თინა დომენტის ასული (ბათუმის 21-ე საშ. სკოლა);
- თვალაბეიშვილი ვალიდა დავითის ასული (თბილისის მე-4 საშ.
სკოლა);
- თითბერიძე თინა მიხეილის ასული (თბილისის 117-ე საშ. სკოლა);
- იაკოვლევა გალინა მიხეილის ასული (აფხაზეთის განათ. სამინისტ.);
- იშორია ლუდუკი ალექსანდრეს ძე (ზუგდიდის მე-8 საშ. სკოლა);
7) მიიღონ ზომები ვაჭრობის საწარმოთა კოლექტივებსა და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის, გაუწიონ მათ დახმარება ამ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, ყველგან შექმნან საყოველთაო ზრუნვის და ყურადღების ატმოსფერო ახალგაზრდა მშრომელების სწავლებისადმი;

8) ვაჭრობის საწარმოები და დაქვემდებარებული ორგანიზაციები აქტიურად ჩააბან სსრ კავშირის პროფსაბჭოს, ალკკ ცკ-ის სამდივნოს და საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს კოლე-

გის მიერ გამოცხადებულ დათვლიერებაში დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“;

9) მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად ჩატარებული მუშაობის თაობაზე აცნობონ საქართველოს სსრ განათლების და ვაჭრობის სამინისტროებს 1978 წლის 15 სექტემბრისათვის.

2. აუხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

1) გააძლიერონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მომუშავე ახალგაზრდობაში საყოველთაო საშუალო განათლების პროპაგანდა, აუხსნან წესი და დაეხმარონ ყოველ ახალგაზრდა მშრომელს სწავლების ფორმის შერჩევაში;

2) ყოველწლიურად იმ პირთა სიები, ვინც ექვემდებარება სწავლებაში ჩაბმას, დასამტკიცებლად წარუდგინონ სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს;

3) დაევალოს საღამოს და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს, მათ მოადგილეებს და მეთოდისტებს, აგრეთვე სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების და ჯგუფების ხელმძღვანელებს გააძლიერონ კონტროლი სასწავლო-აღმზრდელით მუშაობაზე და მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე;

4) გააუმჯობესონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების და მათი ფილიალების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, ლაბორატორიული მოწყობილობით, სასწავლო-თვალსაჩინო დამხმარე მასალებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით;

5) მიიღონ კონკრეტული ზომები საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების და მათი ფილიალების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების და ჯგუფების ქსელის გაფართოებაზე ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

3. ჩითვალოს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ განათლების და ვაჭრობის სამინისტროების 1974 წლის 6 აგვისტოს ერთობლივი დადგენილება № 204/649 „ვაჭრობის სამინისტროს და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი სყოველთაო საშუალო განათლების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

4. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის და კადრების სამმართველომ (ამხ. ტ. ბ. მაღრაძე და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. ლ. გუჯეჯიანი).

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი

ო. ქინძლავა

საქართველოს სსრ
ვაჭრობის მინისტრი

მ. მებრელიშვილი

**ПОСТАНОВЛЕНИЕ № 5/12
КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ
ГРУЗИНСКОЙ ССР И МИНИСТЕРСТВА
ТОРГОВЛИ ГРУЗИНСКОЙ ССР**

от 18/25 мая 1978 г.

О мерах по дальнейшему развитию и совершенствованию системы вечернего и заочного среднего образования молодежи, работающей в организациях и предприятиях системы Министерства торговли Грузинской ССР

Претворение в жизнь решений XXV съезда КПСС и по повышению эффективности общественного производства, ускорении научно-технического прогресса и роста производительности труда настоятельно требует дальнейшего повышения уровня и качества как профессионально-технической, так и общеобразовательной подготовки кадров.

Коллеги Министерства просвещения Грузинской ССР и Министерства торговли Грузинской ССР отмечают, что торговыми организациями республики совместно с органами народного образования проводится определенная работа по вовлечению работающей молодежи в вечернее и заочное обучение. В системе Министерства торговли Грузинской ССР в 1977—1978 году обучалось 602 молодых работника, из них в вечерних и заочных школах—469 человек, в техникумах и высших учебных заведениях — 133 человека.

Хорошо поставлена эта работа в г. Телави, в системе «Грузтекстильторга», в «Грузторгодежде», где все молодые работники или имеют среднее образование, или вовлечены в обучение.

Однако в организации общеобразовательной подготовки молодых работников торговли имеется все же ряд недостатков.

Отдельные руководители объектов Минторга ГССР не



уделяют должного внимания вовлечению в вечерние и заочные школы молодых работников, не имеющих восьмилетнего и среднего образования, созданию условий, стимулирующих у молодежи желание получить среднее образование, не создают им условий для успешного сочетания учебы и работы, не предоставляют им установленных законом льгот, нередко загружают дополнительными заданиями и сверхурочными работами, в особенности в последние декады месяца и квартала, в результате, значительная часть молодых работников торговли в возрасте с 16 до 29 лет с неполным средним образованием, а именно 1587 человек еще нигде не учится.

Так, например, на объектах системы Управления торговли г. Тбилиси нигде не обучается 517 человек, не имеющих среднего образования, Министерства торговли Абхазской АССР — 439 человек, треста «Дорресторанов и буфетов» — 145 человек, Цхалтубского курортторга — 50 человек и т. д.

В целях дальнейшего развития и совершенствования системы вечернего и заочного среднего образования молодежи, работающей на объектах Министерства торговли Грузинской ССР, коллегии Министерства просвещения Грузинской ССР и Министерства торговли Грузинской ССР постановляют:

1. Министерством торговли Абхазской АССР и Аджарской АССР, отделу торговли Юго-Осетинской А/О, Управлениям торговли Тбилисского и Кутанского горисполкомов, отделам торговли Руставского, Зугдидского и Потийского горисполкомов, руководителям торговых организаций системы Министерства торговли Грузинской ССР:

1.1. Принять конкретные меры к выполнению плановых заданий по вовлечению работающей молодежи в вечерние и заочные общеобразовательные школы согласно письму Министерства торговли Грузинской ССР от 21.III—78 г. № 11-16/213.

1.2. Ежегодно, к началу учебного года, определять контингент молодежи, подлежащей обучению в вечерних и заочных общеобразовательных средних школах, своевременно



вовлекать их в обучение и принимать строгие меры к предупреждению пропусков занятий и отсева учащихся.

1.3. Предусмотреть и учитывать в планах социального развития коллективных договоров предприятий, мероприятия по повышению общеобразовательного уровня работающей молодежи. При подведении итогов соцсоревнования, присвоении званий ударников и коллективов коммунистического труда, наряду с показателями в работе, учитывать показатели учебы.

1.4. На заседаниях комиссии содействия коммунистическому воспитанию молодежи периодически рассматривать состояние посещаемости и успеваемости учащихся, оказывать им практическую помощь в создании нормальных условий для учебы.

Систематически заслушивать отчеты руководителей предприятий и организаций о повышении общеобразовательного и культурно-технического уровня молодых рабочих, возложив на них персональную ответственность за обучение работающей молодежи, не имеющей среднего образования.

1.5. Поощрять молодежь, успешно сочетающую работу на производстве с учебой, оказывать им преимущество при повышении квалификации и продвижении по работе.

Присваивать последующие разряды по ряду профессий с учетом умеющего у них среднего образования или обучения в средней вечерней, заочной общеобразовательной школе.

1.6. Усилить контроль за предоставлением на предприятиях и в организациях льгот, предусмотренных законодательством Союза ССР и республики о труде молодежи, совмещающей работу с обучением в вечерних и заочных общеобразовательных школах.

1.7. Принимать меры к дальнейшему укреплению связей коллективов предприятий торговли с вечерними и заочными школами, оказывать им помощь в укреплении учебно-материальной базы этих школ, создавать атмосферу всеобщей заботы и внимания к молодым труженикам, совмещающим ра-

боту с учебой. Шире практиковать наставничество над молодыми рабочими, сочетающими учебу с производительным трудом.

1.8. Активизировать работу коллективов подведомственных торгорганизаций в проводимом Секретариатом ВЦСПС, секретариатом ЦК ВЛКСМ и Коллегией Министерства просвещения СССР во Всесоюзном смотре по повышению общеобразовательного уровня молодежи — «Каждому молодому труженику — среднее образование».

1.9. О проведенной работе по вовлечению работающей молодежи в вечернее и заочное обучение информировать Министерство просвещения Грузинской ССР и Министерство торговли Грузинской ССР к 15 сентября 1978 года.

2. Министерством просвещения Абхазской АССР и Аджарской АССР, заведующим Юго-Осетинским областным, городскими и районными отделами народного образования:

2.1. Усилить среди молодежи, работающей в системе Министерства торговли ГССР, пропаганду всеобщего среднего образования, разъяснить порядок и помочь каждому молодому работнику в выборе формы учебы.

2.2. Ежегодно списки лиц, подлежащих вовлечению в обучение, отдельно по каждому торгу, выносить на утверждение городских и районных исполкомов Советов народных депутатов.

2.3. Обязать директоров, их заместителей и методистов вечерних и заочных школ, учебно-консультационных пунктов и групп усилить контроль за учебно-воспитательной работой и качеством знаний учащихся.

2.4. Улучшить обеспечение вечерних и заочных школ и их филиалов учебниками, лабораторным оборудованием, учебно-наглядными пособиями и техническими средствами обучения.

2.5. Принять конкретные меры по расширению сети вечерних школ, их филиалов, учебно-консультационных пунк-



тов в организациях и на предприятиях торговли и общественного питания.

3. Считать утратившим силу совместное постановление Министерства просвещения Грузинской ССР и Министерства торговли Грузинской ССР от 6 августа 1974 г. № 204-Л/649 «О мерах по дальнейшему развитию вечернего и заочного общего образования молодежи, работающей в организациях и предприятиях торговли и общественного питания».

4. Контроль за выполнением настоящего постановления возложить на Управление воспитательной работы и кадров Минторга Грузинской ССР (т. Маградзе Т. Б.), Управление вечерних и заочных школ Министерства просвещения ГССР (т. Г. Гуджеджиани).

Министр просвещения
Грузинской ССР

О. КИНКЛАДЗЕ

Министр торговли
Грузинской ССР

М. МЕГРЕЛИШВИЛИ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯის
საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის გიგანტის
და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის
პრეზიდიუმის 1978 წლის 18 მაისის მართვლივი

დადგენილება

საკავშირო ალკ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტის
ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრების მზადებისა
და 1978 წელს მისი ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯია, საქარ-
თველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს
სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1978
წლის ზაფხულში ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის
ტექნიკურ სახეებში.

შეჯიბრებები მიეძღვნას საკავშირო ალკ მე-60 წლისთავს და
ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-11 რესპუბლიკური შეჯიბრე-
ბა 1978 წლის 15-დან 21 ივნისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრება
1978 წლის 24-დან 26 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემომოდელისტთა მე-13 რესპუბლიკური შეჯიბრება
1978 წლის 26-დან 30 ივნისამდე;

დ) ნორჩ რაკეტამოდელისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრება
1978 წლის 5-6 ივლისს;

ე) ნორჩ ავამოდელისტთა 46-ე რესპუბლიკური შეჯიბრება
1978 წლის 7-დან 12 ივლისის ჩათვლით.

II. სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრების
მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგა-
ნიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ლომიძე შურაბ — საქართველოს სსრ განათლების მინისტ-
რის მოადგილე — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ფაჩუაშვილი მერი — საქართველოს ალკ ცენტრალური კო-

მიტეტის მდივანი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე;

3. ჩხაიძე თენგიზ — საქართველოს „დოსააფის“ ცენტრალური
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სპორტის დარგში — საორ-
განიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

4. ებიტაშვილი გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგურის დირექტორი — საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:

1. ოჩიგავა მამუკა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი;

2. ღარიბაშვილი რობერტ — საქართველოს ალკ ცენტრალური
კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე;

3. ორახელაშვილი აღექსანდრე — საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფი-
ლების უფროსი;

4. ჩხაიძე თენგიზ — საქართველოს რესპუბლიკური სპორ-
ტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი;

5. ეფრემიძე ზურაბ — საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრ-
ალური კომიტეტის რესპუბლიკური რადიოტექნიკური სკოლის
უფროსი;

6. განსახურდია თამაზ — საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

7. გურგენიძე გივი — საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური
კომიტეტის აეიასპორტკლუბის უფროსი;

8. ჯაში ლევან — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის
დირექტორის მოადგილე;

9. შვანგირაძე გრიგოლ — საქართველოს სსრ „დოსააფის“
თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე.

III. სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრე-
ბების ჩატარების დებულებები დამტკიცეს (თან ერთვის).

IV. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვა-
ნელოს სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მომზადებისა
და ჩატარების საქმეს.

V. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (დირექტორმა) ამხ. გ. ეპიტაშვილმა):

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და ტექნიკური წრეები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

ბ) შეჯიბრების მომზადების საქმეში გაუწიოს სათანადო დახმარება სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ხელმძღვანელებს;

გ) აწლის 1-ლ სექტემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალურ კომიტეტს განაცხადი 1979 წლისათვის სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების აუცილებელი მასალებითა და ძრავებით უზრუნველყოფის შესახებ;

დ) მოამზადოს და 1978/79 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები სათანადო რაოდენობის მეთოდური მასალებით, ნახაზებითა და აღწერილობებით.

VI. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა და „დოსააფის“ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და შეჯიბრებებში მოსწავლეთა ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები;

ბ) შეჯიბრების ჩასატარებლად ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული დებულებებით;

გ) ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, უზრუნველყონ სათანადო მომზადებული ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და ინდივიდუალური მონაწილეების შერჩევა რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა სკოლების უმრავლესობაში განსაკუთრებით კი სკოლისგარეშე დაწესებულებებში 1978/79 სასწავლო წლის დასაწყისში ჩამოყალიბდეს სპორტის ტექნიკური სახეობათა წრეები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) რესპუბლიკურ შეჯიბრებებისათვის მზადება, როგორც წესი, დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან.

VII. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურების დირექტორებმა მიიღონ გადაჭრელი ზომები სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ნორმალური მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მკიდროდ დაუკავშირონ მომავალი შეჯიბრებების ამოცანებს.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. ა.კვაჭაძემ) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1979 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების, მეთოდური მასალების შედგენისა და ბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) და საქართველოს სსრ „დოსაფის“ ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებამ (ამხ. ნ. ქობალავა);

ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებს გამოუყონ საჭირო მასალები და აპარატურა იმ მოთხოვნების მიხედვით, რაც საჭირო იქნება წრეების ნორმალური მუშაობის წარმართვისათვის;

ბ) სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამატარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნისათვის მიხედვით გამოუყონ ნტშ სადგურს 500 კგ. ქალაქი მეთოდური მასალების, დებულებებისა და ნახაზების დასაბეჭდად და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩასატარებლად საჭირო მასალები და ინვენტარი.

X. გაზეთების „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“, ჟურნალე-

ზის „სკოლა და ცხოვრების“, „პიონერის“ და რადიოსა და ტელე-
ვიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუ-
ქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობის, შეჯიბრ-
ებების მზადებისა და ჩატარების საკითხები.

XI. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოთ
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა) საქართველოს
ალკე ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებას (ამხ. რ.
ლარიბაშვილი) და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური
კომიტეტის სპორტულ განყოფილებას (ამხ. ა. შევარდნაძე).

საქართველოს ალკე ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

შ. შარტავა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
უშ. ივოლაძე

საქართველოს სსრ „დოსააფის“
ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ჯანაშვილი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპაბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილე მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შედეგების შესახებ

უკანასკნელ წლებში სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების მუშაობამ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფრიად დიდი გავრცელება ჰპოვა. ამას ადასტურებს ყოველწლიურად ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრებები და იქ მოპოვებული წარმატებები.

აქტიურად მუშაობს და ეუფლება ავიამოდელიზმის, გემთმოდელიზმის, ავტომოდელიზმისა და რადიოტექნიკის საფუძვლებს რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეებში ჩაბმული ასობით მოსწავლე.

1977 წლის ზაფხულში ჩატარებული სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებები მნიშვნელოვანი ღონისძიებები იყო, რომლებმაც კარგი შედეგი გამოიღიეს მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მასობრივად გაშლის საქმეში, რადგან შეჯიბრებებმა განაავლინეს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ინტერესი და მიდრეკილება ამ დარგებისადმი.

სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს წინ უსწრებენ სარაიონო, საქალაქო და ზონალური შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობდა 4000-მდე მოსწავლე.

შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში მოსწავლეებმა დაამზადეს რადიომართული აპარატები, გემებისა და ავტომანქანების მოქმედი მოდელები და მრავალი სხვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ რადიოსპორტსმენტა მე-10 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 66 მოსწავლე, აქედან რადიოგრაფების მიღება-გადაცემაში 22 მოსწავლე, რადიომრავალჭიდიში — 18, ხოლო „ნადირობა მეღიებზე“ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 26 მოსწავლე, რაც ბევრად აღემატება გასულ წლებში ჩატარებული შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობას.

ნორჩ რადიოსპორტსმენტა მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდა სსრ კავშირის რადიოსპორტის ფედერაციის მიერ დამტკი-

ცებული წესების სრული დაცვითა და მეტად მაღალ სპორტულ დონეზე.

შეჯიბრების ჩატარების შედეგად გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა მოსწავლეებმა, რომელთა უმრავლესობამ შეასრულა სპორტული კლასიფიკაციის ერთიანი საკავშირო ნორმატივი.

სპორტული ბრძოლების შედეგად საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის რადიოსპორტსმენთა გუნდმა, მეორე ადგილი — ქ. თბილისის რადიოტექნიკური სკოლის გუნდმა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის სასპორტო ტექნიკურმა გუნდმა.

ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის გუნდის წარმატება მოპოვებულია მისი მწვრთნელის, ამავე სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლის რუდოლფ სტაროსტინის დაუღალავი შრომის შედეგად.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის ნორჩ რადიოსპორტსმენთა ნაკრებმა გუნდმა საკავშირო შეჯიბრში, რომლის წევრებმაც შეუპოვარ და მძიმე ბრძოლებში მიაღწიეს დიდ წარმატებებს და გუნდი IV საპრიზო ადგილზე გამოიყვანეს.

მონაწილეთა რაოდენობა ავტომოდელისტთა მე-9 რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, რომელიც 1977 წლის 22-24 ივნისს ჩატარდა თბილისის ტრეკზე, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დამზადებულ მოდელთა ხარისხი, რომელთაც კარგ ესთეტიკურ გაფორმებასთან ერთად ქონდათ კარგი სავალი ნაწილი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 5 გუნდი და პირად პირველობაზე მონაწილე ავტომოდელისტები — სულ 47 მოსწავლე.

მოდელების სასტენდო და სავალი ნაწილების შემოწმებამ ცხადყო, რომ მხუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა, ავტომოდელიზში ჩვენს რესპუბლიკაში განაგრძობს ზრდას.

ჩატარებული შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდები და პირად პირველობაში გამარჯვებული მოსწავლე ავტომოდელისტები.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი და 1-ლი ხარისხის სიგელი მოიპოვა აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ავტომოდე-

ლისტა გუნდმა; მეორე გუნდური ადგილი მოიპოვა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ვიპელით და მეორე ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა აჭარის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავტომოდელისტთა გუნდი, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ზედა წილად ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომოდელისტთა გუნდს.

ნორჩ ავტომოდელისტთა მე-9 რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე დაკომპლექტებულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო 1977 წლის 23-26 აგვისტოს ქ. რიგაში ჩატარებულ ნორჩ ავტომოდელისტთა XIV საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს როგორც გუნდმა, ასევე ცალკეულმა მოსწავლეებმა.

ამ შეჯიბრებაზე რესპუბლიკის გუნდმა მე-4 საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო მოსწავლეებმა — ქ. თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლის 1-ლი კურსის მოსწავლემ ზურაბ ზურაბიშვილის 1,5 სმ³ სარბოლო მოდელმა აჩვენა 104 კმ/საათი სისწრაფე და მე-3 ადგილი დაიკავა. ამავე მოსწავლემ შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმა.

ქ. თბილისის მე-3 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, I თანრიგოსანმა პაატა შარიბაშვილმა, 2,5 სმ³ მოცულობის აერომობილების კლასის მოდელებში დაიკავა მე-4 საპრიზო ადგილი; იგი შეყვანილია საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. ასევე ქ. თბილისის 154-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, I თანრიგოსანმა გოჩა ანიაშვილმა, ელექტრომობილის კლასის მოდელებში VI საპრიზო ადგილი დაიკავა.

აქტიურად მიმდინარეობდა ნორჩ გემთმოდელისტთა მე-12 რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც გასული წლის ზაფხულში ჩატარდა თბილისში, ლისის ტბაზე. შეჯიბრება, რომელიც 26—30 ივნისამდე მიმდინარეობდა, წარმოადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ზღვაოსნობისადმი სიყვარულის ნათელ დადასტურებას.

მიუხედავად შეჯიბრებისათვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, რომლის გამო შეუძლებელი იყო მაღალი მაჩვენებლების მიღება, განსაკუთრებით რადიოთი მართული და ჩქაროსნული მოდელების სახეობებში, მსაჯთა კოლეგიის მიერ შეჯიბრების შედეგები დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული.

ნორჩ გემთმოდელისტთა მიერ შეჯიბრებაზე 80-ზე მეტი ნაირ-



სახეობის წარმოდგენილ მოდელთა სასტენდო შემოწმებამ ცხადყო, რომ ნორჩ გემთმოდელისტებს აქვთ სათანადო ცოდნა და კარგი სპორტული მომზადება, რომ მათ მიერ დამზადებულ მოდელებს, წინა წლებთან შედარებით, ბევრად უკეთესი სანავიგაციო მონაცემებით აქვთ.

პირად პირველობაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს და ცალკე კლასების მიხედვით გახდნენ 1977 წლის ჩემპიონები ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე როსტისლავ დიასამიძე, ქ. თბილისის 49-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე დავით პეტრიაშვილი, ქ. რუსთავის მე-13 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე დავით ბეჭუაშვილი, ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ალექსანდრე ახობაძე, ქ. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე სერგო სტარჩენკო და სხვები.

შეჯიბრებაზე საერთო გუნდური ადგილი, I ხარისხის სიგელი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი დაისაკუთრა აჭარის ასსრ ნტ საოლქო სადგურის ნორჩ გემთმოდელისტთა გუნდმა; მეორე ადგილზე გამოვიდა ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ გემთმოდელისტთა გუნდი, რომელსაც II ხარისხის სიგელთან ერთად გადაეცა საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ გემთმოდელისტთა გუნდმა, რომელსაც გადაეცა III ხარისხის სიგელი.

ნორჩ ტექნიკოსთა მე-12 რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე დაკომლექტებულმა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ნორჩ გემთმოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომლის წევრებმაც შეუპოვარ ბრძოლებში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს და რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

როგორც ყოველთვის დიდი მასობრიობით გამოიჩინოდა ნორჩ ავიამოდელისტთა 45-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან მივლინებული ავიამოდელისტთა 15 გუნდი, 150-მდე მოსწავლის რაოდენობით, შეჯიბრება, რომელიც მიმდინარეობდა 1977 წლის 5-დან 12 ივლისამდე ჩატარდა ბოლნისის რაიონის სოფელ ტაფა-

ნის ტერიტორიაზე. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იყო სულ 180-მდე/ პლანერის, რეზინძრავიანი, მექანიკურიძრავიანი, ექსპერიმენტული და რადიოთი მმართველი მოდელები.

7 დღის შეუპოვარი და დაძაბული სპორტული შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ პირადი პირველობის პრიზიორები, რომელთაც დაამყარეს რესპუბლიკური რეკორდები და პირველი ადგილის მოპოვებასთან ერთად მიღეს 1977 წლის რესპუბლიკური ჩემპიონის წოდება მოდელთა თითქმის ყველა სახეობაში და რომელთა შორის უნდა აღინიშნოს:

ასლ-მოდელებში — გიორგი გაბუნია, ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე; რადიოთი მართავ მოდელებში — სერგო კანანხინი რუსთავის მე-2 პროფტექსასწავლებლის მე-2 კურსის მოსწავლე; თვითმფრინავის ტაიმერული მოდელების სახეობაში — ვალერიან რომშინი ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, რეზინძრავიანი მოდელების სახეობაში — ალექსანდრე ჩაჩავა ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე და სხვები.

ავიამოდელისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა; მე-2 საპრიზო ადგილი — ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა გუნდმა, ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა პროფკავშირების კულტურის სასახლის ნორჩ ავიამოდელისტთა გუნდმა.

იმის გამო, რომ დოსაადის ცენტრალური კომიტეტის პროფტექნიკურმა ექსპერიმენტულმა სახელოსნომ ვერ უზრუნველყო დროულად რაკეტული ძრავების გამოშვების ორგანიზაცია, ნორჩ რაკეტ-მოდელისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრება არ ჩატარებულა.

ნორჩ ავიამოდელისტთა შეჯიბრების ჩატარებას ხელი შეუწყო კარგმა ამინდმა, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებულმა დღის განრიგის მტკიცედ შესრულებამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში მკვეთრად გაიზარდა მოსწავლეთა სპორტული დაოსტატება ავიამოდელისტთა დარგში. ქ. თბილისთან შედარებით, ისეთ რაიონებსა და ქალაქებში როგორცაა — ქობულეთი, ბათუმი, საჩხერე, ქ. სოხუმი, რუსთავი და სხვ.

რაც არ შეიძლება ითქვას ქ. ქუთაისსა და ქ. ცხინვალზე, სადაც სპორტული დაოსტატების დონე ამ დარგში ყოველწლიურად მცირდება.



სპორტის ტექნიკურ სახეობებში შეჯიბრების ჩატარებისას დადებით მხარეებთან ერთად გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონიეს შეჯიბრებების ჩატარების შედეგებზე.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილებათა უმრავლესობა არ ეხმაურება განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების დანერგვისა და განვითარების შესახებ, რის გამოც რესპუბლიკის ბევრ სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში არ არის ჩამოყალიბებული ამ სახის წრეები, ხოლო იქ სადაც კი ამის ოდნავი ჩანასახია, ისინი ვერ პოულობენ განათლების განყოფილებათა მხარდაჭერას.

გარკვეული ნაკლი სპორტის ტექნიკური სახეობების წრეების მუშაობაში შეინიშნება აგრეთვე, იმის გამო, რომ ამ წრეების უმრავლესობა საჭირო მასალების დიდ ნაკლებობას განიცდის. ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) „დოსაფის“ ადგილობრივი კომიტეტები, რომელთა საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს მასალების მიღება-განაწილება, მათ რაიონში შემავალი წრეები მიიწვიან უმასალოდ რჩებიან.

შეჯიბრების ჩატარების დიდი ხელშემშლელი პირობა იყო აგრეთვე მსაჯების სიმცირე სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

შეჯიბრებების ჩატარების მთლიანმა ანალიზმა დაადასტურა, რომ სკოლისგარეშე დაწესებულებების უმრავლესობას არა აქვს მოდელების გამოსაცდელი კორდოდრომები, აქვატორიუმები და ავტომოდელდრომები, რომელთა უქონლობა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების დროს, შესამჩნევად მოქმედებს შეჯიბრების ჩატარების შედეგებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
სამდივნოს 1978 წლის ერთობლივი
სამდივნო 1978 წლის 18 მაისის ერთობლივი

დადგენილება № 5

ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და საკავშირო ალკ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-18 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

ავლნიშნავთ, რომ 1977/78 სასწავლო წელს გამოცხადებული ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მიძღვნილი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი, კარგი მასობრივი ღონისძიება იყო. მან ხელი შეუწყო საწრეო მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ფოტოგრაფიული კულტურის ამაღლებას, ფოტოგრაფიული ტექნიკის დაუფლებას და ნიჭიერი ფოტომოყვარულების გამოვლინებას.

ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 50-ზე მეტმა სკოლამ და სკოლისგარეშე დაწესებულებამ, რომლებმაც წარმოადგინეს 980 ფოტოსურათი. ფოტოსურათებზე ასახულია მოსწავლეთა შრომა, სწავლა, დასვენება, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობის მომენტები; ეტიუდები და ჩვენი რესპუბლიკის პეიზაჟები.

კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და რესპუბლიკურ გამოფენაზე კარგი სურათების წარმოდგენით გამოირჩეოდნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური და ქ. ქუთაისის პიონერთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურების, ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის, ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ახალქალაქის, საგარეჯოს, წყალტუბოს და სხვა რაიონების პიონერთა სახლების და ქ. რუსთავის პიონერთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრეები.

კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე ექსპონირებული სურათებიდან მოწონებას იმსახურებენ ფოტოსურათები: „ორნი“ (არაბული მარინე — თბილისის 101-ე საშუალო სკოლა, IX კლასი), „ძველი აივანი“ (ჩაფიძე გია — თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი); „ძველი თბილისის ერთი კუთხე“ (ოქრიაშვილი გოჩა — ქ. თბილისის 146-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი); „დრომოჭმული“ (ზოგვერადე ვაჟა — ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლა, VIII კლასი), „მთის სოფელი“ (ფანცულაია როლანდი — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, X კლასი), „ჩალის დაზვიენება“ (ჩაკვეტაძე ზ. — ცაგერის რაიონის ტვიშის საშუალო სკოლა, X კლასი), „ანცი“ (დათუაშვილი სოსო — ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, VII კლასი), „პეიზაჟი“ (ბაკაევი ვენადი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი), „არენაზე“ (პეტროსიანი ანდრანიკ — ქ. ბათუმის მე-12 საშუალო სკოლა, VI კლასი), „ნახტომი“ (ჭუფრაშვილი კახა — ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, VI კლასი) და სხვ.

ეიურიმ პირველი პრემიით დააჯილდოვა 5 მოსწავლე, მე-2 პრემიით 10, მე-3 პრემიით — 25; ხოლო სიგელებით — 50 მოსწავლე.

კონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ვანის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, კასპის, ყვარლის, სიღნაღის, თეთრიწყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონებს. წლების მანძილზე არ მონაწილეობენ აბაშის, თერჯოლის, თიანეთის, სიღნაღის, ყაზბეგის, ქარელის, ჩხოროწყუს და ხობის რაიონები.

აფხაზეთის ასსრ-დან მხოლოდ ოჩამჩირის რაიონი მონაწილეობდა და სურათებიც უსარისხო წარმოადგინა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი, სკოლებთან და სკოლსგარეშე დაწესებულებებთან არსებული ფო-



ტოწრეების, წრის ხელმძღვანელებისა და ცალკეულ ნორჩ ფოტო-
მოყვარულთა დაჯილდოების შესახებ.

დამტკიცდეს (დანართი 1-ლი, მე-2, მე-3).

2. 1978 წლის 25 დეკემბრამდე ჩატარდეს ნორჩ ფოტომოყვა-
რულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსი და მიეძღვნას საკავშირო
ალკე მე-60 წლისთავს.

3. ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის
ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი
შემდეგი შემადგენლობით:

1. ქოჩაკიძე მიხეილ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
2. თურქია ოთარ — „საქინფორმის“ ფოტოინფორმაციის მთავარი
რედაქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე;
3. ოჩიგავა მამუკა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი;
4. ღარიბაშვილი რობერტ — საქართველოს ალკე ცენტრალური კო-
მიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების
გამგე;
5. ეპიტაშვილი გიორგი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სად-
გურის დირექტორი;
6. ბახტაძე გურამ — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ განყოფილების
გამგე;
7. ვარდოსანიძე გიორგი — განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავ-
შირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
მდივანი;
8. ჟღენტი თემურ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოს-
წავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი;
9. მამასახლისი ალექსანდრე — ქ. თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორი;
10. კილაძე სიმონ — ფოტოკლუბ „საქართველოს“ უფროსი;
11. რუსეცკი ვლადიმერ — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ საილუსტ-
რაციო განყოფილების გამგე;



12. გინზბურგი ვლადიმერ — გაზეთ „კომუნისტის“ ფოტორეპორტიორი.

4. დაევალოს ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს:

- ა) უზრუნველყოს რაიონები საჭირო რაოდენობის საინსტრუქციო მასალებითა და დებულებებით;
- ბ) ადგილებზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებსაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსის ხელშემწყობი კომისიები სკოლის, კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) გაშალონ ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა და ყველა სკოლამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე დაიყვანონ კონკურსის ჩატარების პირობები;

გ) დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს (ამხ. ო. კერესელიძე), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოთხოვნის შესაბამისად, რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გამოუყოს ფოტოაპარატები და ფოტომასალები.

6. გაზეთებმა — „სახალხო განათლება“ (ამხ. ნ. შველიძე), „ახალგაზრდა კომუნისტი“ (ამხ. ჯ. ნინუა), „მოლოდიოე გრუზიი“ (ამხ. ვ. ანასტასიადი), „ნორჩი ლენინელი“ (ამხ. ი. ცერცვაძე); ჟურნალებმა „სკოლა და ცხოვრება“ (ამხ. გ. საჯია), „პიონერი“ (ამხ. ბ. შელია); რადიო და ტელეგადაცემების საბავშვო რედაქციებმა (ამხ. ე. მიქაბერიძე, რ. გამსახურდია), პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.



7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. დარიბაშვილს) კონტროლი დააწესოს ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

შ. შარტაშვა

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი

მ. ჭინკლაძე

ნორჩ ფოტოგოგრაფულთა მე-17 რესპუბლიკურ კონკურსში
მონაწილე მოსწავლეებისა, რომლებიც დაჯილდოვდნენ
სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით

პირველი პრემიით

(I-ლი ხარისხის სიგელითა და 15 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. არაბული მარინე — ქ. თბილისის 101-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
2. ოქრიაშვილი გოჩა — ქ. თბილისის 146-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
3. ჩაფიძე გია — ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
4. ფანცულაია როლანდი — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, X კლასი;
5. ბოგვერაძე ვაჟა — ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

მეორე პრემიით

(II ხარისხის სიგელითა და 10 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. თედევი ზურაბ — ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
2. ჩაკვეტაძე გ. — ცაგერის რ-ნის ტვიშის საშუალო სკოლა, X კლასი;
3. ჭუფრაშვილი კახა — ქ. რუსთავეის მე-15 საშუალო სკოლა, V კლასი;
4. გაბარაშვილი დათო — ქ. თბილისის რკინიგზის მე-2 სკოლა, VIII კლასი;
5. კრიხელი შალვა — ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
6. ქოსაშვილი ოთარ — ქ. თბილისის 44-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;

7. ხაჩიძე მერაბ — ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, კლასი;
8. დათუაშვილი სოსო — ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
9. პეტროსიანი ანდრანიკ — ქ. ბათუმის მე-12 საშუალო სკოლა, VI კლასი;
10. ბაკაევი გენადი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი.

მესამე პრემიით

(III ხარისხის სიგელითა და 5 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. სმირნოვი იგორ — ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი;
2. სანაკოევი ახლიოს — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, IX კლასი;
3. მიქიტუშოვი სეირან — ქ. თბილისის მე-18 პ. ტ. ს., VIII კლასი;
4. ლოლუა ავთანდილ — ქ. თბილისის მე-16 საშუალო სკოლა;
5. ჩღჩიევი გენადი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, IX კლასი;
6. ტასოევი ვლადიმერ — ქ. თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
7. თედეევი იოსებ — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, IX კლასი;
8. ქირია ხათუნა — ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლა, VI კლასი;
9. მირილაშვილი შოთა — ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა, X კლასი;
10. პაპელაშვილი გურამ — ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
11. ელბაქიძე ნუგზარ — ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი;
12. ქაშიბაძე ჯამბულ — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი;
13. ბიქტიაძე ვასილ — ქ. რუსთავის მე-13 საშუალო სკოლა, VII კლასი;

14. სართანია ირინა — ზუგდიდის რაიონის ოდიშის საშუალო სკოლა, VIII კლასი;
15. უდგრია ნინო — ქ. ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
16. ჯაყელი მალხაზ — ბათუმის რაიონის ხულოს საშუალო სკოლა, VIII კლასი;
17. მარღიშვილი ვია — ქ. თბილისის კულინარული სასწავლებელი;
18. ჯიბლაძე გიორგი — ქ. ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა, V კლასი;
19. კურხაშვილი ლალი — თელავის რაიონის კურდღელაურის საშუალო სკოლა, IX კლასი;
20. ბაბილოძე დავით — ქ. ფოთის მე-6 საშუალო სკოლა, IX კლასი;
21. ბაბაჯანოვი ედუარდ — ქ. თბილისის 98-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
22. კაშინიკოვი ვადიანგი — ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა, IX კლასი;
23. ნეკრასოვი ვალერი — ქ. ბუთუმის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი;
24. ანოხინი თემური — ქ. თბილისის მე-18 პ. ტ. ს.;
25. ქუმარიტოვი ვალერი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი.

ს ი გ ე ლ ი თ :

1. ფუხაევი ნოდარ — ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, X კლასი;
2. ხაბეიშვილი მაქსიმე — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლა, VI კლასი;
3. ჭედელიძე ზაზა — ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლა, VII კლასი;
4. შავოიკინი ვალერი — ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლა, VIII კლასი;
5. ბორძიკული დავით — ქ. თბილისის 154-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
6. ნორაკიძე ნიკო — ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
7. შანიძე გოჩა — მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი;



8. ჩახოიანი ვაგიკ — ქ. თბილისის 110-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
9. კალმახელიძე იური — ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
10. კობლაძე მამუკა — ქ. თბილისის მე-16 საშუალო სკოლა, VIII კლასი;
11. აჯამულიანი გიორგი — ახალქალაქის საშუალო სკოლა, IX კლასი;
12. ხვიტია პეტრე — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა, V კლასი;
13. ხაღია გოგი — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა, V კლასი;
14. თაფლიაშვილი გიული — საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი;
15. კობტაშვილი გელა — საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი;
16. გასპაროვი ალექსანდრე — ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა, VII კლასი;
17. კოსტანიანი არშაკი — ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, IV კლასი;
18. ხაჩიძე ვაჟა — ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი;
19. მონაკოვი ვლადიმერ — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა, VIII კლასი;
20. ცაგადრიანი ლევან — ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, VII კლასი;
21. ტასოვი ვლადიმერ — ქ. თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
22. ზაბროცკი ალექსანდრე — ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლა, VII კლასი;
23. ბუღულაშვილი ჭუმბერ — ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, IX კლასი;
24. ლომიძე ემზარ — ქ. ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
25. მირილაშვილი შოთა — ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა, X კლასი;
26. კოდუაშვილი გიორგი — წყალტუბოს რაიონის გუმბრის საშუალო სკოლა, VIII კლასი;
27. თევზაძე მერაბ — ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;



28. ქუზიბაძე ჯამბულ — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი;
29. ჯიოევი სტანისლავ — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი;
30. თედეევი შამილ — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, X კლასი;
31. დადიანი ვახტანგ — ქ. ხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, IX კლასი;
32. ნანიევი ვიტალი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი;
33. ბაკაევი გენადი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი;
34. აღამაშვილი ჯუმბერ — ქ. რუსთავეის მე-15 საშუალო სკოლა, VII კლასი;
35. დონხაძე მამუკა — ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი;
36. ცოფურაშვილი ვია — ქ. თბილისის 154-ე საშუალო სკოლა, VII კლასი;
37. ვადაჭკორია ზაზა — მახარაძის რაიონის ბოხვაურის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი;
38. იორდანიშვილი ზაზა — ქ. თბილისის 134-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი;
39. ჩხეიძე მერაბ — ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა, IX კლასი;
40. ბანცაძე ოთარ — ხარაგაულის 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი;
41. ახალმოსულიშვილი მერაბ — თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლა, VII კლასი;
42. ბინიაშვილი სიმონ — ქ. ფოთის მე-10 საშუალო სკოლა, IX კლასი;
43. ქობალია შახი — ზუგდიდის რაიონის კოცხელის საშუალო სკოლა, IX კლასი;
44. ოგანეზოვი ედუარდ — ქ. თბილისის 91-ე საშუალო სკოლა, IX კლასი;
45. ჭიკაძე მერაბ — ქ. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული სკოლა, VIII კლასი;



- 46. ბოჭორიშვილი გიორგი — ქ. თბილისის მე-2 გახანგრძლივებუ-
ლი სკოლა, VIII კლასი;
- 47. ჩოჩიევი გენადი — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, IX
კლასი;
- 48. ჭედელიძე ზაზა — ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლა, VII კლასი;
- 49. წურწუშია თემურ — ქ. ფოთის მე-6 საშუალო სკოლა, VI კლასი;
- 50. გორელაშვილი დემურ — ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა,
IX კლასი.

დანართი № 2

ს ი ა

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ფოტოწრეებისა,
რომლებიც დაჯილდოვდნენ მე-17 რესპუბლიკურ კონკურსში
აქტიური მონაწილეობისათვის

I ხარისხის დიპლომით:

- 1. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომო-
ყვარულთა წრე;
- 2. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან
არსებული გ. თიკანაძის სახელობის ფოტომოყვარულთა კლუბი
„სმენა“;
- 3. ქ. რუსთავეის პიონერთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრე;
- 4. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტომოყვარულთა
წრე;
- 5. ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტო-
მოყვარულთა წრე;
- 6. ქ. ქუთაისის პიონერთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრე;
- 7. ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრე;

II ხარისხის დიპლომით:

- 1. ახალქალაქის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე;
- 2. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა
სადგურის ფოტომოყვარულთა წრე;



3. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე;
4. სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე.

III ხარისხის დიპლომით:

1. სავარჯის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე;
2. წყალტუბოს პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე;
3. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე.

დანართი № 3

ს ი ა

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების იმ მუშაკებისა, რომლებიც ნორჩ ფოტომოყვარულთა მე-17 რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით:

1. ამბალია დევის — ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი;
2. ანჯაფარიძე მურმან — ქუთაისის პიონერთა სასახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი;
3. გრიგორაშვილი რევაზ — წყალტუბოს პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი;
4. დოგუშოვი ვიტალი — სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი.
5. ენგიბარიანი არშალუის — ახალქალაქის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი;
6. ვართანესოვი სურენ — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოლაბორატორიის გამგე;
7. ლოლობაძე გიული — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი;
8. ლუკაშვილი იური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული გ. თიკანაძის სახელობის ფოტომოყვარულთა კლუბის „სმენას“ ხელმძღვანელი;





9. ნაკულაშვილი ჯემალ — საგარეჯოს პიონერთა სახლის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი;
10. ომელჩენკო ნიკოლოზ — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი;
11. სავკო — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი;
12. ქოიავა ვლადიმერ — თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი;
13. ცხოვრებაძე დიმიტრი — ქ. რუსთავის პიონერთა სასახლის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი;
14. ჭითავა ვახტანგ — რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვართა წრის ხელმძღვანელი.

განათლების სამინისტროს

1978 წლის 19 მაისის

ბრძანება № 366

ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 99 დადგენილებიდან გამომდინარე, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის, მათი ყოველმხრივი განვითარების, ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადების შემდგომი სრულყოფის მიზნით,

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 1978 წლის 1 სექტემბრიდან გარდაბნის რაიონის მარტყოფის რუსული საბავშვო სახლი და თეთრიწყაროს ზოგადსაგანმანათლებლო ქართული რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი გადაკეთდეს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან სკოლა-ინტერნატებად სკოლამდელთა განყოფილებებით.

2. გარდაბნისა (ამხ. გ. ქვრივიშვილი) და თეთრიწყაროს (ამხ. ლ. ჯინჯიხაძე) განათლების განყოფილებებმა:

— მარტყოფის საბავშვო სახლის და თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მიიღონ საჭირო ზომები არსებულ შენობა-ნაგებობათა შეკეთებისა და ახალი სასწავლო წლის დამდგენისათვის მათი სრულ მზადყოფნაში მოყვანისათვის;

— უზრუნველყონ ახალი ტიპის სკოლა-ინტერნატების დაკომლექტება კვალიფიციური პედაგოგიური, სამედიცინო და ტექნიკური მუშაკთა კადრებით სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ 1978 წლის 30 მარტის № 39 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით;


— ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა კვებით, ფეხსაცმლით, ტანსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის დროს იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 დეკემბრის № 1040 დადგენილების № 1 და № 2 დანართებით, აგრეთვე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1978 წლის 23 მარტის № 13 საინსტრუქციო წერილის დანართით „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კვების ხარჯების გაანგარიშებული ნორმები“.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) საჭირო ღონისძიებები განახორციელოს მარტყოფისა და თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სათანადო კონტიგენტით დაკომპლექტებისათვის.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. რ. აიწყურაძე) სათანადო დახმარება აღმოუჩინოს გარდაბნისა და თეთრიწყაროს განათლების განყოფილებებს მარტყოფისა და თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების სპეციალისტებით დაკომპლექტების საქმეში.

5. განათლების სამინისტროს საგვეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1978 წლის 1 სექტემბრიდან მარტყოფსა და თეთრიწყაროში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების გახსნასთან დაკავშირებით გარდაბნის და თეთრიწყაროს განათლების განყოფილებათა ბიუჯეტში გათვალისწინოს საჭირო ხარჯები.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებების განაცხადების მიხედვით უზრუნველყოს მარტყოფისა და თეთრიწყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები ხელსაწყო-იარაღებით, სასწავლო მოწყობილობებით, მაგარი და რბილი ინვენტარით.

7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დააწესოს
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ.  **საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1978 წლის 18 მაისის კოლეგიის სხდომის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე

ზ. ოზოლაძე

საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს

1978 წლის 21 ივნისის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 417

1978 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ

სახალხო განათლების დარგის მუშაკებმა, პროფკავშირის კომიტეტებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ადგილებზე გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. სახალხო განათლების ორგანოებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მარტის დადგენილებამ „1975—1976 წლებში საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ“.

1978 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა ატესტაცია ჩატარდა აფხაზეთის ასსრ გალის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში, აჭარის ასსრ ქ. ბათუმში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავისა და ზნაურის რაიონებში; ქალაქებში — ჭიათურაში და ფოთში, ქ. თბილისის კიროვისა და პირველი მაისის რაიონებში: აბაშის, ამბროლაურის, ზესტაფონის, საჩხერის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, ცხაკაიას, ხობის, ჩხოროწყუს, ლენტეხის, მესტიის, ცაგერისა და ონის რაიონებში. ატესტაცია გაიარეს ა/კ რკინიგზის სამმართველოს 8 სკოლამ და ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა.

გარდა აღნიშნულისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა ატესტაცია გაიარეს რესპუბლიკის 35 რაიონისა და ქალაქის სკოლების იმ მასწავლებლებმაც, რომელთაც სხვადასხვა მიზეზებით გასულ წლებში გადაევადათ ატესტაცია.

იმ ქალაქებისა და რაიონების სკოლებში, სადაც მოქმედი დებულების დაცვით ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია, სულ მუშაობს 14304 მასწავლებელი. მათ-



გან ატესტაცია გაიარა 11236, სამუშაოდან განთავისუფლებაზე განცხადება დაწერა 347, აქედან ატესტაციის მიმდინარეობის პერიოდში უკვე განთავისუფლდა 122 მასწავლებელი.

ატესტაციის შედეგად შეეფერება დაკავებულ თანამდებობას — 7164 მასწავლებელი, შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით — 2033, შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და იმსახურებს წახალისებას — 2018 მასწავლებელი, მათ შორის „მასწავლებელ მეთოდისტი“ წოდების მისანიჭებლად წარდგენილია — 3, „უფროსი მასწავლებლის“ წოდებაზე — 39.

არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 21 მასწავლებელი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებებმა:

მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების მზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 24 მარტის დადგენილებით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების დებულებით. სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ მუშა ჯგუფებსა და სკოლების ხელმძღვანელებს, მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადებისა და მის მაღალ დონეზე ჩატარებაში.

— მასწავლებელთა ატესტაცია ფართოდ გამოიყენონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტურად აღზრდის საქმეში, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

მასწავლებელთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შეფასებისას, არ დაუშვან არაობიექტურობა, აღმოფხვრან ფორმალისმი და ზერელობა.

ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს შეუქმნან აუცილებელი პირობა მათი შესრულებისათვის.

— აუცილებელ შემთხვევაში საატესტაციო კომისიებთან სას-

კოლო ინსპექტორების, მეთოდისტების და სხვა გამოცდილი სპეციალისტების შემადგენლობით შექმნან საექსპერტო ჯგუფები.

— შეიმუშაონ ღონისძიებანი მასწავლებელთა ატესტაციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად; მასწავლებელთა ატესტაციისათვის მზადებისა და ჩატარების მიმდინარეობის საკითხი პერიოდულად განიხილონ სამინისტროს კოლეგიების და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ ატესტაციის შედეგად რეკომენდამიცემულ მასწავლებელთა მუშაობის ისე წარმართვა, რომ მათ შეექმნათ აუცილებელი პირობები მიცემული დავალების შესასრულებლად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად გამოვლინებულ საუკეთესო მასწავლებლებიდან მიენიჭათ:

ა) მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება:

1. აუცე ნონა დიმიტრის ასულს — ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
2. ქოჭუა თინა კალისტრატეს ასულს — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს
3. პერტენავა ლავრენტი ზოსიმეს ძეს — აბაშის რაიონის ონტოფოს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს

ბ) „უფროსი მასწავლებლის“ წოდება:

1. მანუკიანს გიორგი არმენაკის ძეს — ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს
2. გეგენავა ლამარა დომენტის ასულს — ქ. ცხაკაიას მე-7 საშუალო კაიას მე-7 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს
3. ჭიმშელიშვილს გული გრიგოლის ასულს — ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის საშუალო სკოლის დ/კლასის მასწავლებელს



4. კანკავა ციალა თეოფანეს ასულს — ქ. ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს
5. ჯანჭღავა ლეილა დიმიტრის ასულს — აბაშის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს
6. დუშუაშვილს მარგალიტას არტაშას ასულს — ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
7. ბურჯანაძე თამარ ვასილის ასულს — ქ. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
8. გოგბერაშვილს მერი გიორგის ასულს — ქ. ჭიათურის სოფელ აციხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
9. ბიჭიაშვილს მარიამ დიმიტრის ასულს — საჩხერის რაიონის ჩიხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
10. სადუნაშვილს მარიამ იპოლიტეს ასულს — საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
11. ბუაჩიძე იზა შალვას ასულს — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს
12. გიორგობიანს ქეთევან ივანეს ასულს — ამბოლაურის რაიონის სოფელ ბეგეულის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
13. შველიძე დარეჯან დავითის ასულს — ზასტაფონის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
14. გოცაძე გიორგი ბარნაბის ძეს — ქ. ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს



15. ზარნაძე ნანული შალვას ასულს — თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
16. კვიასაძე იონა შალვას ძეს — თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
17. ფორჩხიძე მარიამ იოველის ასულს — თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
18. ჯაბიევა ოლღა აკიმეს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
19. ჭიოევა სვეტლანა გიორგის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
20. ნიორაძე კრენია იოსების ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის თიღვის მ-წლიანი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელს
21. გუჭეჭიანს ელენე გრიგოლის ასულს — მესტიის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
22. ნემსაძე ელენე ანტონის ასულს — ა/კ რკინიგზის სადგურ თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
23. ჭანტურია გრიგოლ მაქსიმეს ძეს — ა/კ რკინიგზის სადგურ ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებელს
24. დოლიძე გულნარა გერასიმეს ასულს — აჭარას ასსრ, ქ. ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს
25. ქინქლაძე დოდო ალექსანდრეს ასულს — აჭარის ასსრ, ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.



26. აზნაურაიანს ანაიდა იაკობის ასულს — აჭარის ასსრ, ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
27. ჭიჭინაძე ეთერ სარდიონის ასულს — აჭარის ასსრ, ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;
28. გრომოვა სვეტლანა ოლეგის ასულს — აჭარის ასსრ, ქ. ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
29. თოდრია გივი გაბრიელის ძეს — აჭარის ასსრ, ქ. ბათუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელს;
30. ჩიკვაძეს თინათინ სერაფიონის ასულს — ქ. თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
31. ტაროვსკი ვიორგი ვასილის ძეს — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს,
32. სულაბერიძე ლეილა ნოეს ასულს — ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
33. მგელაძე ეთერ დიმიტრის ასულს — ქ. თბილისის 1-ლი დამხმარე სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
34. უზარაშვილს თამარ ლავრენტის ასულს — აფხაზეთის ასსრ, გალის რაიონის შვემელეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
35. მალაზონია ნუნუ ვლადიმერის ასულს — აფხაზეთის ასსრ, გალის რაიონის ლეკუხონის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
36. ეხვავია ქეთევან ილიას ასულს — აფხაზეთის ასსრ, გალის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს
37. კბილცეცხლაშვილს ნინო ჯურაბის ასულს — აფხაზეთის ასსრ, გალის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
38. ჭავჭავაძე ალექსანდრე ევგენის ძეს — აფხაზეთის ასსრ, გალის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს



საქართველოს სსრ

განათლების საგინისგროს

1978 წლის 7 ივლისის

ბრძანება № 448

ქ. გორის, გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა, სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა ჩატარეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების შესასრულებლად.

ქალაქისა და რაიონის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მუშაობენ ლენინური თეორიული მემკვიდრეობის, პარტიისა და მთავრობის დოკუმენტების შესასწავლად. მოსწავლეები სისტემატურად სწავლობენ სკკპ XXV ყრილობის, სსრკ და საქართველოს კონსტიტუციების მასალებს. ქალაქისა და რაიონის სკოლებსა და და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აღზრდას საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

გორის რაიონის განათლების განყოფილება და სკოლები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში შესწავლას და მასში გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელებას.

უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა ქალაქისა და რაიონის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. სკოლების ქსელი და მათი დისლოკაცია დამაკმაყოფილებელ პირობებს ქმნის ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განსახორციელებლად.

ამასთან ერთად, ქ. გორის, გორის რაიონის განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს



მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს სკოლების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებაში.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას სკოლებისადმი საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელებაზე. არ აანალიზებენ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღწერის მასალებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სკოლებიდან მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გასვლა. შერჩევით ჩატარებული შემოწმებით ქ. გორის სკოლებიდან 16 და გორის რაიონის სკოლებიდან 30 სწავლას ჩამოშორებული სასკოლო ასაკის ახალგაზრდა გამოვლინდა.

არ არის დაწესებული კონტროლი მეორეწლიანთა სწავლებაზე და მათ მოძრაობაზე. 1976/77 სასწავლო წლის ბოლოს კურსის განმეორებით გასავლელად დატოვებულ 142 მოსწავლიდან 1977/78 სასწავლო წელს სწავლობს 90. აღსანიშნავია, რომ 52 მეორეწლიანიდან, რომლებიც არ დაუბრუნდნენ სკოლას, 7 — I—III კლასე-ლია, ხოლო 22 — IV—VIII კლასელი.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში შეინიშნება უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვისადმი და სტატისტიკური ანგარიშების სწორად წარმოებისადმი, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა მასიური, არაბუნებრივი მოძრაობა ქ. გორის სკოლებში და ერთი და იგივე მოსწავლის რამოდენიმე სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევები ქ. გორის და გორის რაიონის სკოლებში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვების სწავლებას, ქ. გორში 9 და გორის რაიონში 35 ბავშვი დღემდე არ არის ჩაბმული სწავლებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმზრდელობითი მუშაობა სასკოლო ინტერნატებსა და გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში. არაადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მათი მატერიალური ბაზა. გორის რაიონის სკოლებში დღემდე არც ერთი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის გახსნილი, თუმცა ამის საშუალებები და საჭიროება რაიონის პირობებში არსებობს.

სასკოლო სასაბუღალტრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია მეტისმეტად ჩა-

მორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. გორის რაიონის არც ერთ დაწყებით და 26 საშუალო და რაწლიან სკოლაში საერთოდ არ არის გახსნილი ბუფეტები.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ქ. გორის 1-ლი და გორის რაიონის დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში (დირ. ამხ. ამხ. ვ. ბერელაშვილი, გ. თუშიშვილი), დაბალია სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა გაკვეთილებზე და კონსულტაციებზე დასწრება (9—30%), დარღვევებია სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში, ცალკეულ საგნებში არ ტარდება სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები.

ფიქტიურად მოხდა ქ. გორის საღამოს სკოლების მიერ მოსწავლეთა კონტიგენტის გეგმის შესრულება, რამდენადაც სასწავლო წლის დასაწყისში საღამოს სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა საერთოდ არ გამოცხადებულა სკოლაში. სასწავლო წლის პირველ სემესტრში ქალაქის საღამოს სკოლებიდან გასულია 54 მოსწავლე, ხოლო გაცდენების გამო შეუფასებელია 27.

ქ. გორის საღამოს სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილი წლების განმავლობაში არსად არ მუშაობს. განათლების განყოფილება უხეშად არღვევს საღამოს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესებს.

უპასუხისმგებლოდ არის წარმოებული საღამოს სკოლების დოკუმენტაცია. უხეში დარღვევები გამოვლინდა გორის რაიონის დაუსწრებელ სკოლაში რვაწლიანი და საშუალო განათლების მოწმობებისა და ატესტატების გაცემის საქმეში.

ქალაქისა და რაიონის სკოლებში საკმაოდ ყურადღება არ ექცევა კომპლექსურ მიდგომას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის პრობლემების გადაწყვეტისადმი. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კოლექტივების ორგანიზაციისა და დარაზმვისათვის, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებისათვის. რიგ სკოლებში სათანადოდ არ იყენებენ სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარე-



ბის საქმეში. სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს ადგილი გორის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მუშაობაში (დირ. რ. თინიკაშვილი).

ქ. გორის სკოლებში დაბალია მოსწავლეთა აღზრდილობის დონე. სკოლების ხელმძღვანელები და მოსწავლეებლები შემრიგებლურად ეკიდებიან მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების უხეშ დარღვევებს. უკანასკნელ წლებში ქ. გორში შეიმჩნევა მოსწავლეთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის საგრძნობი ზრდა.

ნაკლოვანებებია მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფესიული ორიენტაციის საქმეში. სუსტად წარმოებს ამ მხრივ მუშაობა IV—VIII კლასელ მოსწავლეებთან. სკოლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი და ქალაქის საღამოს სკოლების მოსწავლეები დღემდე არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში.

სუსტია შრომითი სწავლების მატერიალური ბაზა. გორის რაიონის 8 საშუალო და 14 რეაწლიან სკოლაში არავითარი მატერიალური ბაზა არ არსებობს შრომითი სწავლებისათვის. ჯერ კიდევ არ არის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები სასწავლო-საწარმოო კომბინატების გახსნისათვის.

ქალაქისა და რაიონის სკოლების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. სკოლების ერთ ნაწილში არ სრულდება ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების პრაქტიკული ნაწილი. ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში გამოავლინეს მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის სუსტი ცოდნა. ცალკეულ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალია რუსული ენის დაუფლების დონე. სწავლების პროცესში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა სამეტყველო პრაქტიკას. სკოლების საქმიანობაში არ არის დანერგილი ინდივიდუალური მუშაობა ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, არ სწავლობენ ხარვეზებს მოსწავლეთა ცოდნაში.

სკოლებში ყოველთვის სრულად არ გამოიყენება ვაკეეთილის დიდი შესაძლებლობები, როგორც სწავლების ორგანიზაციის გამოცდილი ფორმა. ჯერ კიდევ ბევრი მოსწავლეებელი სუსტად

ფლობს თავის საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. შეიმჩნევა მასწავლებელთა ერთი ნაწილის არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა, მათ მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში ადგილი ქონდა ლიბერალიზმის, არაობიექტურობისა და სიყალბის ჩადენის მასიურ შემთხვევებს. გორის რაიონის სკოლების 8 მასწავლებელი სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოხვდა.

სასკოლო პედაგოგიური კოლექტივები არ ზრუნავენ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის. ქალაქისა და რაიონის სკოლების მოსწავლეთა 70%-ზე მეტი სამეზბე სწავლობს. წარჩინებით მოსწავლეთა ძირითადი რაოდენობა დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე მოდის. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში გორის რაიონის სკოლებიდან არც ერთ მოსწავლეს არ გაუმარჯვია ქიმიისა და მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში. არ ყავთ ოქროს მედალოსნები.

სერიოზული ნაკლოვანებებია მასწავლებლებთან მეთოდურ მუშაობაში, სათანადო ყურადღება არ ექცევა დადებითი გამოცდილების გამოვლენას და მის განზოგადებას. სკოლებში არ ინახება მეთოდისტების მიერ მოსმენილი ვაკვეთილების ანალიზები და მეთოდური კაბინეტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. სუსტია კონტროლი და დახმარება სასკოლო მეთოდგაერთიანებათა მუშაობაზე.

ნაკლოვანებებია სასკოლო ბიბლიოთეკების სამეცნიერო-პედაგოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეთოდოლოგიური და მხატვრული ლიტერატურით, განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულებით მომარაგებისა და აღრიცხვის საქმეში.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებები არ ატარებენ სათანადო ღონისძიებებს ახალგაზრდა პერსპექტიული მასწავლებლების გამოსავლენად და მათგან სკოლების ხელმძღვანელთა ქმედითი რეზერვების შესაქმნელად. არ არის დანერგილი ახალგაზრდა მასწავლებლების მიზანდასახული სისტემატური სწავლება. გორის რაიონის სკოლებში ადგილი აქვს მასწავლებელთა პირველი სექტემბრის შემდეგ დანიშვნის ხშირ შემთხვევებს.

არაღამაკმაყოფილებლად ჩატარდა მასწავლებელთა ატესტა-

ცია ქ. გორის სკოლებში. სრულად არ იყო გამოყენებული მასწავლებელთა ატესტაციის, როგორც პედაგოგთა კვალიფიკაციის, მათა პასუხისმგებლობის ამალღების, იდეურ-პოლიტიკური და მეთოდური ზრდის საშუალებები. განათლების განყოფილება არავითარ მუშაობას არ ატარებს ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან.

სკოლებში დაბალია შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე. სათანადო ყორადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის სწორად დაგეგმვას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად ან არასაკმარისი სიღრმით იხილავენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საკთხებს. არც ერთ სკოლაში არ მომხდარა სკოლის წესდების შესაბამისად სამოქმედო მოვალეობების განაწილება ადმინისტრაციისა და სკოლის სხვა მუშაკთა შორის. დირექტორები და მათი მოადგილეები იშვიათად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე.

ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები წარმოადგენს განათლების დაწესებულებათა მართვის დარგში განათლების განყოფილებების (ამხ. ამხ. ო. კლი-მიაშვილი, ავ. ჩხეიძე) არასათანადო ხელმძღვანელობის შედეგს. განათლების განყოფილებები სათანადო დახმარებას არ უწევენ სკოლებს, სუსტად აკონტროლებენ და წარმართავენ მათ საქმიანობას მუშაობის ეფექტურობის ამალღებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ანოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეში. ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის, სწავლების მეთოდების სრულყოფის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება ქ. გორის განათლების განყოფილების საქმიანობა. როაგორც შემოწმებით დადგინდა, განათლების განყოფილება ვერ ახორციელებს სკოლებისადმი ქმედით და კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. სათანადო ყურადღებას არ აქცევს მუშაობის სწორად დაგეგმვას, შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, ინსპექტირების ეფექტურობას, მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის სისტემატურ შემო-

წმებას. თავის საქმიანობაში განყოფილება არ ხელმძღვანელობს სსრკ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით დამტკიცებული „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებით“.

სა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით დამტკიცებული „სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებით“.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განათლების განყოფილებაში არ დაწერილა და არ დამუშავებულა განათლების განყოფილების საქმიანობის ამსახველი არც ერთი ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი თუ რეკომენდაცია. განხილვისა და რეაგირების გარეშე რჩება ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა:

1. 1. დააწესონ სისტემატური კონტროლი და გაუწიონ პრაქტიკული დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ განუხრელად შესრულების საქმეში.

1. 2. აამაღლონ ორგანიზატორული მუშაობის დონე საყოველთაო-საშუალო განათლების განსახორციელებლად. მოაწესრიგონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლების საქმეს. უმკაცრესი ზომები მიიღონ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელების საქმეს.

• 1. 3. შეიმუშაონ და განახორციელონ სათანადო ზომები სასკოლო-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის განვითარების, მათი სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის. განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი



სასკოლო სასაძილოებისა და ბუფეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1. 4. შეიმუშაონ და განახორციელონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სწავლების მეცნიერული, იდეურ-პოლიტიკური დონისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მკვეთრად გაუმჯობესების ღონისძიებანი. ყოველწლიურად ჩაატარონ საინსპექტორო შემოწმებები, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას, სწავლების მდგომარეობას და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, შინასასკოლო დისციპლინის მდგომარეობას. აქტიურად ჩაებან საკავშირო დათვალიერებაში „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“.

1. 5. აამიღონ სახალხო განათლების მუშაკთა პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობასა და შედეგებზე; ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და პროფესიულ დაოსტატებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში მომუშავე ახალგაზრდა პერსპექტიული მასწავლებლების გამოვლენას და მათთან მუშაობას სკოლებისათვის მომავალი ხელმძღვანელი კადრების ქმედითი რეზერვის შესაქმნელად. სისტემატური კონტროლი დააწესონ ატესტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე.

1. 6. გაატარონ ქმედითი ზომები ვაკეეთილის სრულყოფის, სწავლების პროცესში ეფექტური მეთოდებისა და ხერხების, სწავლების კაბინეტური სისტემის სრულყოფილად გამოყენების, სკოლების დიდაქტიკური და მეთოდური მასალებით გამდიდრების მიზნით.

1. 7. გააუმჯობესონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა, სკოლების მომარაგება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდოლოგიური ლიტერატურით, საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულებით.

1. 8. გადაჭრით გააუმჯობესონ კონტროლის ეფექტურობა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მათი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობაზე. კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ IV—VIII კლასების მოსწავლეთა

შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლო სართლისა სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის, სასკოლო სახელოსნოების, მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების განვითარებისათვის.

1. 9. ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას, უნარიანად გამოიყენონ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა მოსწავლეებში სწავლისა და შრომისადმი პასუხისმგებლური და შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის.

1. 10. განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება მიექცეს სკოლებში მოსწავლეებთან ინდივიდუალურ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის პროფილაქტიკის გაუმჯობესების აუცილებლობას.

1. 11. დასახონ სათანადო ღონისძიებანი განათლების განყოფილებისა და სკოლების ხელმძღვანელების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექციონ მუშაობის სწორად დაგეგმვას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, ინსპექტირების ეფექტურობას, შინსასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორმატიული და საინსტრუქციო-მეთოდური დოკუმენტების შესრულებას.

2. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის და საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის სკოლების დირექტორებს გ. გოზალიშვილს (ქვახვრელის საშ. სკოლა), გ. აღუაშვილს (საქაშეთის რვაწლიანი სკოლა), ა. საგანელიძეს (ატენის სკოლა-ინტერნატი), კ. ჯაფარიძეს (ბოშურის საშ. სკოლა), შ. გივილაშვილს (კარალეთის საშ. სკოლა) გამოეცხადათ საყვედური.

3. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის და მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის სკოლების დირექტორებს ქ. კიკნაძეს (ქ. გორის მე-3 სკო-

ლა) და პ. ზედგინიძეს (ქ. გორის მე-10 სკოლა) გამოეცხადოთ ხსენებული.

4. შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის არადაშაკმაყოფილებელი დონისათვის, რამაც განაპირობა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები და დარღვევები სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ქ. გორის სლამოს 1-ლი სკოლის დირექტორი ვ. ბერელაშვილი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. გორის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ჩიკოიძე პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გორის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი რ. თინიკაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა განიხილონ ქ. გორის მე-2 საშ. სკოლის დირექტორის ო. ელიოზიშვილის, რეხის რვაწლიანი სკოლის დირექტორის ა. ღარიბაშვილის და რაიონული დაუსწრებელი სკოლის დირექტორის გ. თუშიშვილის დაკავებულ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1978 წლის 15 აგვისტომდე.

8. სახალხო განათლების დაწესებულებათა საქმიანობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც რაიონის სკოლებში საყოველთაო სწავლების განხორციელებასა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოიწვია სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები, გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ავ. ჩხეიძეს გამოეცხადოს საყვედური.

9. სახალხო განათლების დაწესებულებათა საქმიანობის არადაშაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და უკონტროლობისათვის ქ. გორის განათლების განყოფილების გამგე ო. კლიმიაშვილი იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას, მაგრამ მიღებულ იქნას რა მხედველობაში მისი სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობა, შესაძლებლად ჩაითვალოს ამხ. ო. კლიმიაშვილის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

10. ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებ-

მა აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 1-ლ მაისამდე.

11. აღნიშნული ბრძანება განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის ცნობასთან ერთად დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

12. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. კ. სუჯაშვილს).

13. აღნიშნული ბრძანება და სახალხო განათლების ინსპექციის ცნობა გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი

მ. ჭინჭლაძე

ც ნ ო ბ ა

ქ. გორის, გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

ქალაქისა და რაიონის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მუშაობენ ლენინური თეორიული მემკვიდრეობის, პარტიისა და მთავრობის დოკუმენტების შესასწავლად. მოსწავლეები სისტემატურად სწავლობენ სკკპ XXV ყრილობის, სსრკ და საქართველოს კონსტიტუციების მასალებს, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აღზრდას საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

ქ. გორის და გორის რაიონის განათლების განყოფილებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1976 წლის 24 დეკემბრის № 1165 ბრძანების „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებების შესახებ“ — სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში შესწავლასა და მასში გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელებას.

ქალაქისა და რაიონის სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს, წარმოება-დაწესებულებებთან კოლმეურმეობებთან და საბჭოთა

მეურნეობებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები აქვთ გადადგმული მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის საქმეში. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. ზექალაშვილი), მე-6 საშუალო სკოლა (დირექტორი თ. სიმონიშვილი), ტყვიავის საშუალო სკოლა (დირექტორი დ. რაზმაძე) და სხვები.

დასახელებული სკოლების პედაგოგები: გ. ტალაშენკო, რ. ყანჩაველი (მე-4 საშუალო სკოლა), გ. გოზალიშვილი, ნ. მაისურაძე (მე-6 საშუალო სკოლა), ილარიშვილი მე-9 საშუალო სკოლა), ნ. სამნიაშვილი (მნდისის საშუალო სკოლა), ზ. ტიმოშენკო, ნ. ბზიშვილი (ატენის სკოლა ინტერნატი), ვ. შილო, ნ. გოგინავა, უ. ილიაური (ტყვიავის საშუალო სკოლა) და სხვები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს. ვაკვეთილებს ატარებენ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქისა და რაიონის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, სათანადო ყურადღება ექცევა სკოლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გეგმაზომიერ გადასვლას და მათ აღჭურვას სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ქალაქისა და რაიონის სკოლების ექსლი და მათი დისლოკაცია დამაკმაყოფილებელ პირობებს ქმნის ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განსახორციელებლად.

ამასთან ერთად, ქ. გორის, გორის რაიონის განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში სკოლის თაობაზე პარტიისა დამთავრობის დადგენილებების შესრულებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებების საქმიანობაში არ არის დამკვიდრებული სისტემატიური კონტროლის მკვეთრი სისტემა საყოველთაო სწავლების განუხრელად განხორციელებაზე. განათლების განყოფილებებს არ გააჩნიათ ქალაქსა და რაიონში ჩატარებული სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღწერის ნაკრები მასალები, შესაბამისად არ უკეთდება ანალიზი



აღწერის შედეგებს. ყოველივე ამის გამო განათლების განყოფილებაში ბები სრულად არ არიან ინფორმირებული ქალაქსა და რაიონში საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობაზე.

განათლების განყოფილებებში არ ინახება სკოლებიდან არასაბატიო მიზეზით გასულ მოსწავლეთა სიები, შესაბამისად არ წარმოებს მათი სწავლებაში ჩასაბმელად გატარებული ღონისძიებების აღრიცხვა, თუმცა, როგორც შერჩევით ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა, ქალაქისა და რაიონის დღის სკოლების 46 მოსწავლე ადრეული გათხოვების, დანაშაულის ჩადენის, თუ სხვა არასაბატიო მიზეზით ჩამოშორებულია სწავლებას. (ქ. გორის მე-2, მე-7, მე-8, მე-10, მე-12, მე-13; გორის რაიონის ატენის სკოლა ინტერნატი, ხელთუბნის, კარალეთის, ვარიანის, ქვახვრელის, ქიწნისის და სხვა სკოლები).

არ არის დაწესებული კონტროლი მეორეწლიანთა სწავლებაზე და მათ მოძრაობაზე, რის შედეგადაც ქ. გორის სკოლებში 1976/77 სასწავლო წლის ბოლოს კურსის განმეორებით გასავლელად დატოვებული 64 მოსწავლიდან 1977/78 სასწავლო წელს სწავლას აგრძელებს 48, გორის რაიონის სკოლებში ნაცვლად 78 მეორეწლიანისა — 42. აღსანიშნავია, რომ 36 მეორეწლიანიდან, რომლებიც არ დაუბრუნდნენ სკოლას 7—1—III კლასელია, 22 კი IV—VIII კლასელი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქ. გორის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჩიკობე), საიდანაც განითესა 2 მეორეწლიანი მოსწავლე, მე-7 საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. მჭედლიშვილი), საიდანაც განითესა 7 მეორეწლიანი მოსწავლე, ზერტის საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. მერაბიშვილი), საიდანაც განითესა 6 მეორეწლიანი მოსწავლე. ასეთივე მდგომარეობაა ატენის სკოლა-ინტერნატში, ზელდულეთის, ვარიანის, ძევერისა და სხვა სკოლებში.

სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის ნაკლზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გორის რაიონის 31 მეთავეკლასელი განმეორებით დატოვებულ იქნა იმავე კლასში, თუმცა არც ერთი მათგანი შექმდეწელს სკოლას არ დაუბრუნდა.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში შეინიშნება უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვისადმი, სტატისტიკური ანგარიშების სწორად წარმოე-

ბისადმი, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა მასიური არაბუნებრივი მოძრაობა ქ. გორის სკოლებში და ერთი და იგივე მოსწავლის რამოდენიმე სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევები. ასე მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში II და III კლასის მოსწავლეები ძმები ლომიძეები ერთდროულად ირიცხებოდნენ ვარიანის საშუალო სკოლასა და ატენის სკოლა-ინტერნატში, IV კლასის მოსწავლე გ. ფალელაშვილი ატენის სკოლა-ინტერნატსა და ხელთუბნის საშუალო სკოლაში, I კლასის მოსწავლე კ. გიორგიშვილი მერეთის საშუალო სკოლასა და ზარდაანთქარის დაწყებით სკოლაში, IX კლასის მოსწავლე გ. ფაციონაშვილი ქვეშის საშუალო სკოლასა და ქ. გორის მე-13 საშუალო სკოლაში, VIII კლასის მოსწავლე ი. ქავთარაძე ქ. გორის მე-10 საშუალო და 1-ლ საშუალო სკოლაში.

განსაკუთრებით მასიურია ერთი და იგივე მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევები ქ. გორის დღის და საღამოს 1-ლ და მე-2 სკოლებში. ანალოგიური შემთხვევები გამოვლინდა გორის რაიონის რეხის, ვარიანის, ხიდისთავის, ფლავის, ბოშურის, ქ. გორის მე-2, მე-9 და სხვა სკოლებში. სულ ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებში ერთი და იგივე მოსწავლის რამოდენიმე სკოლაში ჩარიცხვის 69 შემთხვევა გამოვლინდა.

ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გონებრივი და ფიზიკური განვითარების დეფექტების მქონე ბავშვთა სწავლებას. არ წარმოებს ასეთი ბავშვების სათანადო აღრიცხვა, მათრ მედიკო-პედაგოგიურ კომისიაზე გატარება და სპეცსასწავლებლებში ჩაბმა. არადაამაკმაყოფილებლად წარმოებს ავადმყოფ ბავშვთა ბინაზე სწავლება. ყოველივე ამის გამო ქ. გორში 9 და გორის რაიონში 35 ბავშვი დღემდე სწავლებაში არ არის ჩაბმული.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ინტერნატებსა და გახანგრძლივებულ დღის ჩგუფებში აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას, მის ანალიზს, შედეგიანობას, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მათდამი ინდივიდუალურ მიდგომას. არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჩგუფების მატერიალური ბაზა. დარღვევებია აღსაზრდელთა კვების საქმეში. არადაამაკმაყოფილებლად გამოიყურება ამ მხრივ გორის რაიონის



ბოშურის სასკოლო ინტერნატის მუშაობა (სკოლის დირექტორი, მ. ჯაფარიძე, ინტერნატის გამგე ს. გიომვილი).

შემოწმების დღეს ინტერნატში 105 მოსწავლის ნაცვლად სახეზე იყო მხოლოდ 59. სასკოლო ინტერნატის მატერიალური ბაზა მოუწყობელია, არ არის აუცილებელი დგამ-ავეჯი და ინვენტარი, სათამაშოები, არ არის რადიო, საკუთხავი მხატვრული ლიტერატურა და სხვა; მაშინ, როდესაც რაიონის განათლების განყოფილებას ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილი თანხები მთლიანად არ აქვს ათვისებული. მოსწავლეთათვის არ არის შექმნილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, ოთახები ცუდად თბება (განსაკუთრებით შეგუებულ შენობებში), ერთ-ერთი შენობის 9 ოთახში ერთი თუნუქის ღუმელია დადგმული, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, საძინებელ ოთახებში სიციფროვეა, საწოლები მიჯრით დგას, სამივე შენობაში 95 დასაწოლი ადგილია, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ მოსწავლეთა რაოდენობა ინტერნატში ხელოვნურად არის გაზრდილი. ინტერნატში არ არის გამოყოფილი საღმზრდელი ჯგუფები, ჯგუფებზე არ არიან გაპიროვნებული აღმზრდელები, არ არის შედგენილი და დამტკიცებული აღმზრდელთა მუშაობის განრიგი; I ცვლაში მომუშავე ჯგუფისათვის არ არის შედგენილი აღსაზრდელთა დღის რეჟიმი; II ცვლისათვის შედგენილ დღის რეჟიმში არ არის მოხდენილი დიფერენცირება. ბავშვთა ასაკის შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული დღის ძილი პატრებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ გორის რაიონის სკოლებში დღემდე არც ერთი განხარკდღივებული დღის ჯგუფი არ არის გახსნილი, თუმცა ამის საშუალებები და საჭიროება რაიონის პირობებში არსებობს.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქ. გორის 1-ლი, მე-2, მე-7, მე-12 და მე-13 სკოლების განხარკდღივებული დღის ჯგუფების მუშაობაში. მოსწავლისათვის არ არის შექმნილი სწავლა-აღრზდის, გართობა-დასვენებისა და კვების ნორმალური პირობები. ჯგუფებისათვის გამოყოფილი ოთახები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს; მოუწყვსრიგებელია ბავშვთა კვების ორგანიზაცია. გორვაჭრობის სასკოლო კვების კომბინატი სასკოლო ბუფეტებს არ ამარაგებს საჭირო ხარისხისა და ასორტიმენტის საკვები პროდუქტებით და ცხელი კერძებით. დაბალია სადილების ხარის-



ზი და ასორტიმენტი. ბავშვებს არ ეძლევათ ბოსტნეული, ხილი და ხორცი.

დასახელებული სკოლების გახანგრძლივებულ ჯგუფებში თვით-დინებაზეა მიშვებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, თუმცა რა მუშაობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი ქ. გორის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჩიკოძე), სადაც გახანგრძლივებულ ჯგუფს ოთახიც კი არ გააჩნია.

შემოწმებული სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული არ არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის შესწავლა, სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებანი; დაბალია გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონკრეტული, მეთოდკაბინეტი (ვამგე ამხ. ვ. ჯამბრიშვილი, ვერ უზრუნველყოფს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელებს საჭირო რეკომენდაციებით, სუსტად იბრძვის ჯგუფის აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის. 18 აღმზრდელიდან 8 აღმზრდელს დღემდე არ გაუვლია დახელოვნების კურსები. განათლების განყოფილება საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობაზე, უკანასკნელი 3 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოახდინეს საკითხის შესწავლა და განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილა.

სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტისმეტად ჩამორჩება მოთხოვნებს, მათში არსებული დასაჯდომი ადგილების რაოდენობა დაბალია ნორმატიულთან შედარებით. გორის რაიონის არც ერთ დაწყებით და 26 საშუალო და რვაწლიან სკოლაში საერთოდ არ არის გახსნილი ბუფეტები. სასადილოები და ბუფეტები არ მარაგდებიან საჭირო სახისა და რაოდენობის პროდუქტებით, მოსწავლეები არ ეტევიან ცხელ კერძებს. ორგანიზებული არ არის დაწყებითი კლასების მოსწავლეების კვება. დანერგილი არ არის კვების პროდუქტების ტალონებით ვაჭრობა.

სეროიზული ნაკლოვანებებია ქ. გორის საღამოს 1-ლ და მე-2 სკოლებისა და გორის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის მუშაობაში (დირექტორები ამხ. ამხ. ვ. ბერელაშვილი, გ. გიორგაძე, გ. თუშიშვილი). აღნიშნულ სკოლებში დაბალია სწავლების ხა-



რისი და მოსწავლეთა ცოდნის დონე. უკიდურესად არადამაკმაყოფილია მოსწავლეთა გაკვეთილებზე და კონსულტაციებზე ესწრება (9—30%). დარღვევებია სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში, ცალკეულ საგნებში არ ტარდება სხელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები.

შემოწმების დღეს საღამოს 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ბერელაშვილი) 193 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა მხოლოდ 13 მოსწავლე.

სკოლის დირექტორი ამხ. ვ. ბერელაშვილი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს პირველ სემესტრში გაკვეთილების სისტემატიური გაცდენების მიზეზით შეუფასებელი იყო 23 მოსწავლე, ხოლო განთესილი 21 მოსწავლე.

ქ. გორის საღამოს სკოლების კონტიგენტის დაგეგმვისას არ არის გათვალისწინებული სწავლებაში ჩაუბმელი კონტიგენტის პოტენციალური საშუალებები. ფიქტიურად მოხდა გორის საღამოს სკოლების მიერ მოსწავლეთა კონტიგენტის გეგმის შესრულება. რამდენადაც სასწავლო წლის დასაწყისში საღამოს სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა საერთოდ არ გამოცხადებულა სკოლაში. ამასვე მოწმობს ის ფაქტი, რომ სასწავლო წლის პირველ სემესტრში ქალაქის საღამოს სკოლებიდან გასულია 54, ხოლო გაცდენების გამო შეუფასებელია 27 მოსწავლე.

საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების მიზნით შექმნილია დაუსწრებელი რაიონული საღამოს სკოლა 13 საკონსულტაციო პუნქტით და 31 საკონსულტაციო ჯგუფით, სადაც სწავლობს 1038 მოსწავლე, აქედან 102 ქალი, რაც შეადგენს მოსწავლეთა 9,8%. ქალების სკოლაში ჩაბმის ასეთი მცირე პროცენტი საეჭვოს ხდის 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდობის აღრიცხვის სიზუსტეს.

უკანასკნელი აღრიცხვით რაიონში კიდევ არის დარჩენილი 16—29 წლის ასაკის 334 ახალგაზრდა, რომელთა სწავლებაში ჩამაგათვალისწინებელია შემდგომ წლებში.

რაიონის დაუსწრებელი სკოლის ხელმძღვანელობა (დირექტ-



ტორი გ. თუშიშვილი) არ ლებულობს რადიკალურ ღონისძიებებს სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადების უზრუნველსაყოფად. გაცდენებს არ აღნიშნავენ სასკოლო კურსნაღში. სასწავლო წლის პირველ სემესტრში 1035 მოსწავლეს გაცდენილი აქვს 2485 აკადემიური საათი. დარღვეულია მოსწავლეთა ჩარიცხვის წესები.

სკოლა არ აწარმოებს გაცდენილი და შეცვლილი გაკვეთილების აღრიცხვას, სკოლის პედშემაკთა პირადი შემადგენლობის აღრიცხვის წიგნს. საშუალო განათლების მოწმობების გაცემის წიგნში კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მოწმობა-ატესტატების მიღებაზე არ აწერს ხელს.

სკოლაში ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე. წითელუბნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში მე-11 კლასის ზოგიერთ მოსწავლეს გაუჭირდა სამკუთხედის დახაზვა, მასში სიმაღლის გავლება, სამკუთხედის წვეროზე ასოების დაწერა. მათემატიკას მე-9 კლასში მე-8 კლასის სახელმძღვანელოთი ასწავლიან. ასეთი ცოდნის მოსწავლეებისათვის ჩათვლების მიცემა და მათი დადებითი ნიშნებით შეფასება მიუტოვებელი ღიბერალიზმია.

